საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი № 151 (10545) | შაბათი, 30 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

კომკავშირის ძლიერების წყარო

კომკავშირი ყოველთვის იყო და არის პარტიის ერთგული თანაშემწე, ყოველთვის დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს სოციალისტურ მშენებლობაში. მუდამ, როცა საქმე ეხება პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტას, კომკავშირი ღირსეულად დგას მათი განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში. სამოქალაქო ომის ფრონტებზე გმირულად იბრძოდა კორჩაგინებს მამაცი თაობა. დიდ სამამულო ომში უკვდავი დიდება მოიხვეჭეს სახელოვანმა კომკავშირელებმა მატროსოვმა, კოშევოიმ, კოსმოდემიანსკაიამ, რუხაძემ და სხვებმა. არასოდეს არ წაიშლება ამურის კომსომოლსკის, ურალისა და კუზბასის მეტალურგიული გიგანტების მშენებელი კომკავშირული ბრიგადების, ყამირი და ნასვენი მიწების ამთვისებელი ახალგაზრდა პატრიოტების შრომითი დიდება. ამჟამად პარტიისა და მთავრობის მოწოდებით ათეულ ათასობით კომკავშირელი წავიდა და მიდის აღმოსავლეთში, ჩრდილოეთში, დონბასში, სადაც გაჩაღებულია მეექვსე ხუთწლედის გიგანტური მშენებლობანი.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ახალგაზრდობა თავდადებით იბრძვის პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, ახალ მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში შექმნილია კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომლებიც მაღალნაყოფიერი, პატრიოტული შრომის მაგალითებს გვიჩვენებენ. ძვირფასი მორალური თვისებები, შრომის სიყვარული, სამშობლოს წინაშე მაღალი მოვალეობის შეგნება გამოსჭვივის ასობით თბილისელი ახალგაზრდის — საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა გადაწყვეტილებაში — ზაფხულის არდადეგები გაატარონ ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში და ბეჯითი შრომით მონაწილეობა მიიღონ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

კომკავშირის ძლიერების წყარო პარტიული ხელმძღვანელობაა. იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ზრუნავს, ოპერატიულად ხელმძღვანელობს და ყოველდღიურად ეხმარება კომკავშირულ ორგანიზაციას, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმე წარმატებით ხორციელდება, მაღალ დონეზეა დაყენებული მთელი კომკავშირული მუშაობა, კომკავშირელები შრომის ავანგარდში დგანან, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის, რომ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში და რესპუბლიკის ბევრ სხვა საწარმოსა და კოლმეურნეობაში სისტემატურად იზრდება კომკავშირელთა ავანგარდული როლი საწარმოო ამოცანების შესრულებაში და ძლიერდება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდებს შორის, აიხსნება ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვით კომკავშირისადმი, უნარიანი ხელმძღვანელობით და ნაყოფიერი დახმარებით.

ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმები, რომლებზეც განხილულ იქნა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი. პლენუმებზე გამომეღავნდა სერიოზული ნაკლოვანებანი კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში. სუსტი პარტიული ხელმძღვანელობით აიხსნება, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში და აბრეშუმკომბინატის ზოგიერთ საამქროში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კომკავშირული ორგანიზაციები, დაბალია ახალგაზრდობის შრომითი აქტივობა, ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობიდან მუშაობას, მათი შეგნებულობის ამაღლებას.

პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა რიცხვი იმ კომკავშირელებისა, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. ეს ხდება იმიტომ, რომ რაიონის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არ აწარმოებენ ახალგაზრდებთან სათანადო პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, ხოლო ზოგიერთი სკოლა ნაკლებად უნერგავს მოსწავლეებს შრომის სიყვარულს.

კომკავშირული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ფაკულტეტებზე და კურსებზე იშვიათად იწვევენ კომკავშირულ კრებებს, ღრმად არ სწავლობენ განსახილველ საკითხებს, არ არის პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ხშირია კომკავშირელთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები. ინსტიტუტის პარტიული კომიტეტი და ფაკულტეტთა ბიუროები კომკავშირული მუშაობის საკითხებს ზოგიერთ შემთხვევაში ზერელედ, ფორმალურად განიხილავენ, რასაც, ცხადია, არავითარი შედეგი არ მოაქვს. სუსტად არის დაყენებული სტუდენტთა შორის პარტიის XX ყრილობის მასალების პროპაგანდა, ჩაშლილია მხატვრული თვითმოქმედებისა და სპორტული წრეების მუშაობა.

რესპუბლიკის მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები (განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები) ცოცხალ, ინიციატივიან მასობრივ მუშაობას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ცვლიან სასხდომო ფუსფუსით, მოსაწყენი ჭკუის დარიგებით. ხშირად აღმზრდელობითი მუშაობის დონეს განსაზღვრავენ მოწყობილი კრებების, მოხსენებებისა და საუბრების რაოდენობის მიხედვით, რაც იწვევს ფორმალიზმს, ცოცხალი საქმის შეცვლას ქაღალდების თხზვით.

პარტიის XX ყრილობამ ახალი დიდი ამოცანების წინაშე დააყენა კომკავშირი. მან უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდობის მასობრივად დარაზმვა ახალი ტექნიკის ათვისებისა და ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების გზით შრომის ნაყოფიერების განუხრელად ამაღლებისათვის. ამას კომკავშირი მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ იგი საქმეს მოეკიდება შემოქმედებითად და არა ფორმალურად, შაბლონურად. კომკავშირული ორგანიზაცია უნდა ცდილობდეს სიახლე, ცეცხლი შეიტანოს ყველა საქმეში, რაგინდ ჩვეულებრივი და უმნიშვნელოც ჩანდეს იგი, უამისოდ ვერ გაიყოლიებს, ვერ დარაზმავს ახალგაზრდობას. ახალგაზრდობის აღზრდის ყველა ფორმაში — კომკავშირული კრება იქნება იგი, პოლიტსწავლება თუ სააგიტაციო მუშაობა — კომკავშირმა უნდა ჩააქსოვოს თავისი შემოქმედებითი უნარი, სიახლისაკენ შეუნელებელი სწრაფვა.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ყოველდღიურად იმუშაონ კომკავშირთან, რეგულარულად მოისმინონ კომკავშირის ორგანიზაციების მდივნების ანგარიში, გაუწიონ მათ ხელმძღვანელობა და დახმარება. კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა უნდა მდგომარეობდეს არა უბრალო რჩევა-დარიგების მიცემაში, არამედ კომკავშირელებისათვის პარტიული მუშაობის გამოცდილების გადაცემაში, მათთან კომუნისტების მჭიდრო კავშირურთიერთობაში. პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი გულისხმობს არა „მითითებათა მიცემას“, არამედ იმას, რომ პრაქტიკულად ვასწავლოთ კომკავშირელებს რა აკეთონ და როგორ აკეთონ, დავეხმაროთ მათ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში.

ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის სარვაპალი რადჰაკრიშნანის დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისადმი

პრეზიდენტ ვოროშილოვს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის და გადასცეთ იგი აგრეთვე პრემიერ-მინისტრ ბულგანინსა და ბ-ნ ხრუშჩოვს.

მე თან მიმყვება თქვენს დიდ ქვეყანაში ყოფნის დროს მიღებული დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი და მეგობრობის გულწრფელი გრძნობები, რაც საბჭოთა მთავრობამ და ხალხმა გამოიჩინეს ჩემი ქვეყნის მიმართ.

მხურვალედ მივესალმები მოვლენათა მსვლელობას, რომელთა მოწმე ვიყავი, და გისურვებთ კიდევ მეტ წარმატებას თქვენს სახელოვან მეცადინეობაში. მხურვალე სალამს გითვლით თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, და თქვენი მეშვეობით — საბჭოთა მთავრობასა და ხალხს.

რადჰაკრიშნანი

ბუქარესტი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სანქციინ ბაგბამ რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს

28 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ს. ბატა, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ელჩს ახლდნენ მრჩეველი ლ. ტოიბო, სავაჭრო მრჩეველი დ. გომბოჟავი, პირველი მდივნები ბ. დორვოლჟინი და გ. ვანდანი, მესამე მდივნები ო. სუხოჩირი და ტ. ბიამბა, ატაშე ბ. გოტოვი, რომლებიც ელჩმა წარუდგინა კ. ე. ვოროშილოვს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. თ. კურდიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და სხვ.

ს. ბატამ და კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

თავის სიტყვაში ელჩმა ბატამ აღნიშნა, რომ მონღოლი და საბჭოთა ხალხების მრავალი წლის ძმური მეგობრობა და საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი და უანგარო დახმარება მონღოლი ხალხისადმი გახდა საიმედო საფუძველი ყველა მისი წარმატებისა, რომლებიც მიღწეულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობის 35 წლის მანძილზე. ელჩმა მონღოლი ხალხის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირსა და მის ხალხებს განუწყვეტელი მეგობრული ყურადღებისა და ძმური დახმარებისათვის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისადმი.

ბატამ თქვა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და მონღოლი ხალხი სულით და გულით მიესალმებიან და ურყევად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

დასასრულ ელჩმა განაცხადა, რომ ყოველ ღონეს იხმარს მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, აგრეთვე იმედი გამოთქვა, რომ მისთვის მინდობილი საპატიო მისიის შესრულებისას იგი შეხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და საბჭოთა მთავრობის სრულ გაგებასა და დახმარებას.

საპასუხო სიტყვაში კ. ე. ვოროშილოვმა თქვა, რომ ელჩის მიერ რწმუნების სიგელების გადაცემა ხდება მონღოლი ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენის წინ. რამდენიმე დღის შემდეგ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები იდღესასწაულებენ მონღოლეთის სახალხო რევოლუციისა და თავისი დამოუკიდებელი არსებობის სახელოვან 35 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით კ. ე. ვოროშილოვმა სთხოვა ელჩს გადასცეს დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას და მომძმე მონღოლ ხალხს უაღრესად მეგობრული მილოცვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხისაგან.

მიულოცა რა ბატას ელჩის თანამდებობის მიღება და უსურვა რა მას წარმატებანი მისი მაღალი მისიის შესრულებაში, კ. ე. ვოროშილოვმა აღუთქვა, რომ ელჩის მთელ მოღვაწეობას, რომლის მიზანია მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება, სრული გაგებით შეხვდებიან და ყოველდღიურად დაუჭერენ მხარს როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და პირადად იგი, ისე საბჭოთა მთავრობა.

საპატიო სიგელების გადაცემის შემდეგ კ. ე. ვოროშილოვს ელჩ ბატასთან ჰქონდა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ა. თ. გორკინმა და ვ. ს. სემიონოვმა.

საკავშირო პროფსაბჭოს V პლენუმი

28 ივნისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს V პლენუმი. დღის წესრიგშია საკითხები: პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები მშრომელთა შორის აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში; მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესასრულებლად პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამბ. კოროხოვამ.

კამაოის მონაწილეებმა გააკრიტიკეს საკავშირო პროფსაბჭოს საქმიანი აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი სუსტი დახმარებისათვის.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია ფეჰლევი მოსკოვში

მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია და მათთან ერთად ჩამოსული პირები 28 ივნისს იყვნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმში. შაჰინშაჰმა მიიტანა გვირგვინი წარწერით: „მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინშაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევისაგან“.

იმავე დღეს ირანელმა სტუმრებმა იმოგზაურეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის დიდი რკალის ტრასით და დათვალიერეს მთელი რიგი სადგურები. მეტროს დათვალიერების დროს განმარტებას იძლეოდა მეტროპოლიტენის უფროსი ა. ი. ეფიკი. ირანის სახელმწიფოს მეთაურმა ნაგებობის გამო თავისი აღტაცება განუცხადა ა. ი. ეფკოვს და წარმატებები უსურვა მეტროპოლიტენის „მუშაკებს შრომაში.

შუადღისას შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და შაჰინშაჰთან ერთად ჩამოსული სხვა პირები ეწვივნენ პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიას.

აკადემიის [illegible] სამსახურის [illegible] ვის თანხლებით [illegible] აკადემიის ძირითადი ლაბორატორიები.

მისმა უდიდებულესობამ შაჰინშაჰმა მადლობა გადუხადა გენერალ ვ. ი. ვოლკოვს აკადემიის გაცნობის შესაძლებლობისათვის და თქვა:

— აქ მოსკლამ საშუალება მოგვცა დაგვეთვალიერებინა ბევრი საინტერესო ლაბორატორია. ჩვენ ვნახეთ მაღალი თანამედროვე ტექნიკა. თქვენს სასწავლებელს შეუძლია იამაყოს იმით, რომ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

შაჰინშაჰმა წარმატებები უსურვა აკადემიის უფროსს, მის მასწავლებელთა შემადგენლობას და მსმენელებს.

ირანელმა სტუმრებმა ნაშუადღევს დაათვალიერეს მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა. (საკდესი).

მოსკოვიდან სტალინგრადში გაემგზავრნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია ფეჰლევი

მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია ფეჰლევი, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით საბჭოთა კავშირში მყოფებიან, 29 ივნისს დილით საბჭოთა ქვეყანაში სამოგზაუროდ წავიდნენ. ისინი თვითმფრინავით გაფრინდნენ სტალინგრადში. მათთან ერთად სტალინგრადში წავიდნენ მათი თანმხლები პირები.

თვითმფრინავის გაფრენის წინ საპატიო სტუმრების გასაცილებლად ირანის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ა. ი. მიკოიანი და სხვა გამცილებელნი მიესალმნენ ირანის შაჰინშაჰსა და დედოფალს, რომლებიც აეროდრომზე მოვიდნენ, და შემდეგ მათთან ერთად წავიდნენ თვითმფრინავისაკენ. ისინი გულთბილად გამოეთხოვნენ სტუმრებს. (საკდესი).

სტალინგრადს ჩავიდნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია

სტალინგრადი, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდნენ მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია ამალითურთ და საპატიო სტუმრების თანმხლები საბჭოთა ოფიციალური პირები.

სტალინგრადის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ირანის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ალმებით, ჩამოსულთა შეხვდნენ: სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ვ. დინკინი, სტალინგრადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ს. პანკინი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ა. პლიევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სტალინგრადის საოლქო და საქალაქო საბჭოების დეპუტატები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენელნი, ქალაქის მშრომელნი.

შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ირანისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ირანის შაჰინშაჰს მოჰამედ რეზა ფეჰლევის და დედოფალ სორეიას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ვ. დინკინმა.

საპასუხო სიტყვაში შაჰინშაჰმა თქვა:

— მადლობას მოგახსენებთ იმ მისალმებისათვის, რომელიც თქვენ აქ წარმოთქვით სტალინგრადის საქალაქო და საოლქო საბჭოების აღმასკომთა სახელით. ამ ისტორიულ ქალაქში ჩამოსვლა უაღრესად საინტერესოა იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ამ ქალაქმა გამოიჩინა უდიდესი გმირობა, ხოლო მეორე მხრივ, აქ შესრულებულია დიდი სამუშაოები მშვიდობიანი ცხოვრების აღსადგენად. გთხოვთ გადასცეთ ჩვენი სალამი ქალაქის მოსახლეობას. ჩვენ ვუსურვებთ ბედნიერებას, კეთილდღეობას ქალაქს, მის მოსახლეობას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობას.

ვუსურვებ ბედნიერებას მთელ თქვენს ხალხს, ვისურვებ მეგობრობას ჩვენს ხალხებს შორის!

აეროდრომიდან სტუმრები გაემგზავრნენ მათთვის მიჩენილ რეზიდენციაში.

გამოფენა ამ დღეებში

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ყოველდღიურად მრავალი ათასი მნახველი ჰყავს. აქ ბევრი რამ არის ახალი, საინტერესო.

მართალია, ღია ნაკვეთებზე ერთი შეხედვით ბევრი რამ თითქოს ძველებურად გამოიყურება — იგივე ყვავილები, შადრევნები, პავილიონები... მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ახეთ ნაკვეთებზეც კი წელს ადვილად შესამჩნევია ექსპონირებული მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის მნიშვნელოვნად გადიდებული რაოდენობა. პავილიონებში კი სიახლე უფრო მეტად იგრძნობა.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე გახსნილი საკავშირო სარეწველო გამოფენა, რომელსაც უკავია ოცი პავილიონი და ღია მოედანი. აქ დემონსტრირებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის მიღწევები.

გამოფენის პავილიონებში მრეწველობის ბევრი ექსპონატია. ისინი აქ გამოგზავნეს ურალმა და ციმბირმა, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქმა მოსკოვმა და ლენინის ქალაქმა, ბალტიისპირეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა, უკრაინამ.

აი მებამბეობის პავილიონი. მისი ექსპონატები გვაცნობენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მიღწევებს მებამბეობაში, არამედ ბამბის სამრეწველო გადამუშავების პროცესსაც. ასევეა აგებული ექსპოზიციები აბრეშუმის, ტექნიკური კულტურების, შაქრის, მელვინეობის, ბოსტნეულისა და კარტოფილის პავილიონებში. ექსპოზიციების ასეთი ახალი განლაგების მეოხებით სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ექსპონატები არა მარტო ავსებენ, არამედ ამდიდრებენ ერთმანეთს, კიდევ ერთხელ ცხადყოფენ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევ თანამგზრობას.

მექანიზაციის პავილიონში მნახველთა ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ავტომანქანები ერთიდან 25 ტონამდე ტვირთამწეობისა, აგრეთვე მრავალი სახის თვითსაცლელი მანქანები, ავტომატარებლები და სხვ.

დარბაზის მაღალ გუმბათს ქვეშ ყველაზე დიდი და თვალსაჩინო ადგილი უკავია ჰიდროტურბინის მუშაობრბალს, რომლის დიამეტრია 9,3 მეტრი, ხოლო წონა 426 ტონა. ასეთი ბორბალი უკვე იძლევა დენს კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურში.

გამოფენის ერთ ჩვეულებრივ დღეს ჩვენი რესპუბლიკის პავილიონში, ისევე როგორც სხვა პავილიონებში, იყვნენ კომის ასსრ, სტალინის, ომსკის, ნოვოსიბირსკის, იაროსლავლის, ხმელნიცკის, მოლოტოვის, ჯამბულის, ხარკოვის, ხერსონის, ბელგოროდის, სარატოვის ოლქების წარმოგზავნილნი, რსფსრ ცენტრალური ოლქების მშრომელთა ჯგუფი, აგრონომთა ჯგუფი, ინდივიდუალურ მნახველთა რამდენიმე ჯგუფი, ექსკურსანტები მახარაძისა და ლენინგორის რაიონებიდან და უცხოელი სტუმრები — ამერიკელი ჟურნალისტები.

ამ დღეს ბევრი მნახველი იყო ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის სტენდთან. ამ მოწინავე მეურნეობაში ჩაის პლანტაციების ფართობი შეადგენს 342 ჰექტარს. ციფრები მეტყველებენ, რომ 1953 წელს აქ ჩაის მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 3.800 კილოგრამი, ხოლო 1955 წელს უკვე 4.926 კილოგრამი. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 1953 წელს უდრიდა 12,4 მილიონ მანეთს, 1955 წელს — 18,1 მილიონს. აქედან ჩაის კოლმეურნეობას მისცა შესახამის წლებში 10,4 და 16,4 მილიონი მანეთი, მეცხოველეობამ — 0,4 მილიონი და 1,4 მილიონი მანეთი.

კოლმეურნეობის ეკონომიკაზე მეტყველებენ სხვა მაჩვენებლებიც. მაგალითად, 1953 წელს ფულადმა შემოსავალმა ყოველ ას ჰექტარ მიწაზე შეადგინა 428 ათასი მანეთი, 1955 წელს — 1.440 ათასი მანეთი. შარშან კოლმეურნეობამ ავანსის სახით გასცა 6.274,2 ათასი მანეთი ანუ კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე გაცემული მთელი თანხის 60 პროცენტი. გასულ წელსვე თვითეულ შრომადღეზე გაცემულ იქნა 35 მანეთი ფულად და 4,9 კილოგრამი მარცვალი.

ფრიად დამახასიათებელია შემდეგი ციფრებიც: ჩაის ფოთლის წარმოებამ ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე შეადგინა: 1953 წელს — 18,6 ცენტნერი, ხოლო 1955 წელს — 22 ცენტნერი. ბოლოს, წველადობა საშუალოდ ერთ ძროხაზე 1953 წლის 607 კილოგრამიდან 1955 წელს გაიზარდა 1.570 კილოგრამამდე. ყველა ამ მიღწევის შედეგად სოფელ რუხის კოლმეურნეობამ მოიპოვა 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

სტენდიდან სტენდთან, დარბაზიდან დარბაზში გადადიან მნახველები. ზოგიერთი მათგანი პავილიონის გაცნობის შემდეგ მიდის მაგიდასთან, რომელზეც დევს შთაბეჭდილებათა და წინადადებათა წიგნი. მათში უკვე ბევრია ჩანაწერი.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს ბევრი რამ გაკეთდა მნახველთათვის მასალების მოხერხებულად მიწოდების საქმეში. ავილოთ, მაგალითად, სტენდი „ჩაის მოყვანის მოწინავე მეთოდები“. სტენდის სატექსტო ნაწილი მოგვითხრობს, რომ ჩაის ფოთლის სწორი და დროული კრეფა ნაცადი აგროტექნიკური ღონისძიებაა, რომელიც მნიშვნელოვნად ამაღლებს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობას. ინერგება ჩაის ბუჩქების მანქანებით გასხვლა, რაც ჰექტარზე ცვლის 18 კაცის შრომას.

მინერალური სასუქების შეტანა ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა. მექანიზებულია ჩაის პლანტაციების ჩასაყრელად ნიადაგის მოსამზადებელი სამუშაოები (ამოძირკვა, ხვნა, ფარცხვა).

შემდეგ მოცემულია ახსნა, რომ ჩაის თესლის ბუდობრივი წესით თესვა უზრუნველყოფს ნარგავთა ხისრულეს და უფრო მძლავრი შაალერის შექმნას. ბუდნაში გამოთესავენ სულ მცირე 5 თესლს. სტენდზე მოცემულია ჩაის პლანტაციის პატარა მოცულობის პანორამა, გამოსახულია ჩაის ხასხლავი მანქანა და აგრეგატი ნიადაგის მექანიზებული მომზადებისათვის. აქვე მოცემულია მუშაობის პროცესში ჩაის ფოთლის მკრეფავთა მბატვრულად შესრულებული ჩანახატები.

ექსკურსანტთა საერთო ყურადღებას იპყრობს ისეთი ექსპონატები, როგორიც არის ტბილისკური, ჩურჩხელა და ჯანჯუხი, ციტრუსების ნაყოფი, ხახვი, კარტოფილი, კომბოსტო, შაქრის ჭარხალი (გასული წლის მოსავალი), ალუჩა, ახალი კომბოსტო და კიტრი, რომლებიც პავილიონში ამ დღეებში მიიღეს.

საბჭოთა საქართველოს ექსპონატები მოთავსებულია მთავარ პავილიონშიც.

როგორც წინათაც ვიუწყებოდით, გამოფენის დირექციამ წელს ბევრი რამ გააკეთა ექსკურსანტებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, გამოფენის დირექტორმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა გვაცნობა — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც გამოფენაზე ჩამოვიდნენ მოწინავე გამოცდილების ღრმად შესწავლის მიზნით, შეიძლება გამოფენაზე ყოფნის ვადა გაუგრძელდეთ 12-15 დღემდე.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

მოსკოვი. 1956 წლის სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა. სურათზე: მანქანათმშენებლობის პავილიონში.

ფოტო ლ. ველიკჟანინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ი. ძანთარია

* * *

ჩვენი კოლმეურნეობა მძლავრი მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობაა. მოგვყავს ჩაი, სიმინდი, ყურძენი, ტუნგო. ამასთან კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მეცხოველეობას.

კოლმეურნეობაში წამყვან კულტურას სიმინდი წარმოადგენს. 1955 წელს 230 ჰექტარი ნათესიდან სიმინდს 207 ჰექტარი ეკავა.

სიმინდის მოყვანის აგროტექნიკის გაუმჯობესების შემდეგ ამ კულტურის მოსავლიანობა უკანასკნელ 2 წელიწადში საგრძნობლად გადიდდა. მაგალითად, 1952 წელს სიმინდი დათესილი იყო 75 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ მხოლოდ 6 ცენტნერი მოსავალი, ხოლო 1955 წელს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანეთ 32 ცენტნერი.

ამას მთელ რიგ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მივაღწიეთ. ჯერ კიდევ მოსავლის აღების წინ სათესლედ ჩვენ ვარჩევთ სიმინდის საუკეთესო ტაროებს და ვინახავთ მშრალ ადგილას. თესვას ვაწარმოებთ ადრე გაზაფხულზე ღრმად მოხნულ და თესვის წინ საკმაოდ გულდასმით მომზადებულ ნიადაგში, რომელშიც სისტემატურად შეგვაქვს ორგანული და მინერალური სასუქები. მარტო 1955 წელს სიმინდის ფართობებში შევიტანეთ 500 ტონაზე მეტი სასუქი. სიმინდს ძირითადად ვთესავთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით, ვაწარმოებთ ნათესის სამჯერ კულტივაციას, ვატარებთ ხელოვნურ დამტვერვას.

სიმინდი სასურსათო მოხმარებასთან ერთად მეცხოველეობის აღმავლობის დაუშრეტელ შესაძლებლობას შეიცავს. ჰექტარზე 40 ცენტნერი სიმინდის მოყვანით შეიძლება მივიღოთ 10 ცენტნერი ღორის ხორცი ან 11.330 ლიტრი რძე, ან 53.500 ცალი კვერცხი. რა შეიძლება მოგვცეს ჰექტარი სიმინდის ნათესმა 500 ცენტნერი მწვანე მასის მიღებისას? 800 კილოგრამი კარაქი ან 20.000 კილოგრამი რძე ანდა 1.500 კილოგრამი ღორის ხორცი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმამდე ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაი წარმოადგენდა. ახლა დიდ ყურადღებას ვაქცევთ მეცხოველეობის განვითარებას. ამისათვის მტკიცე საკვები ბაზა შევქმენით. დასილოსებულმა და ფურაჟად გამოყოფილმა სიმინდმა დიდად შეუწყო ხელი როგორც ხორცის წარმოების, ისე წველადობის ზრდას. მაგალითად, 1952 წელს სახელმწიფოს ჩავაბარეთ 1.784 ლიტრი რძე, 1955 წელს კი 78.930 ლიტრი, ხორცი ჩავაბარეთ 20.383 კილოგრამი. ამ ორი წლის წინათ სახელმწიფოსათვის ღორის ხორცი არცერთი კილოგრამი არ ჩაგვიბარებია. 1955 წელს 15 ფოჩი გავასუქეთ და 1.873 კილოგრამი ხორცი დავამზადეთ. ამით სავალდებულო ჩაბარებაში ღორის ხორცმა გარკვეული ადგილი დაიკავა. წელს გადავწყვიტეთ გასასუქებლად დავაყენოთ 60-მდე ღორი.

სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრ ზრდასთან ერთად იმატა მეცხოველეობის პროდუქტიულობამ. 1954 წელს კოლმეურნეობამ წველადობის გეგმა ვერ შეასრულა, შარშან კი საშუალოდ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 976 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 751 ლიტრისა.

რძის, ხორცის, ცხიმის მიღების მნიშვნელოვანი ზრდა მიღწეულია სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრი აღმავლობით. თუ 1952 წელს 30 ტონა სილოსი ჩავდეთ, 1954 წელს დავასილოსეთ 120 ტონა, ხოლო 1955 წელს — 425 ტონა. მარტო 1955 წლის სიმინდის მოსავლიდან პირუტყვისათვის საფურაჟედ გამოვყავით 1.600 ცენტნერი მარცვალი, სიმინდის ტარო დავაკონსერვეთ 250 ცენტნერი, სილოსად ჩავდეთ 3.800 ცენტნერი სიმინდის ღერო. 7 თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 500 ლიტრი რძე ნაცვლად გასული წლის ამავე პერიოდისათვის მიღებული 280 ლიტრისა.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ჩვენმა კოლმეურნეებმა იკისრეს წელს მკვეთრად გაადიდონ სიმინდის მოსავლიანობა და 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 35 ცენტნერი სიმინდი.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მეექვსე ხუთწლედში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გავზარდოთ 630-მდე, ხოლო ღორისა—250-მდე. გაგასუქოთ 100 სული ღორი და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 120 ცენტნერი ხორცი, სიმინდის ნათესი ფართობი გავადიდოთ 300 ჰექტარამდე, თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა გავზარდოთ 2 ათას ლიტრამდე.

ინგირელი კოლმეურნეები პირნათლად შეასრულებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ი. ძანთარია,
ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

სიმინდი ჩვენი სიმდიდრეა

გარდამავალი წითელი დროშა მეახუთედ

თელავი. (საკ. კორ.). „გლავნეფტესბიტის“ საქართველოს სამმართველოს თელავის სარაიონთაშორისო ბაზის კოლექტივი (დირექტორი ზ. ტერტერაშვილი), რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია წნორის ბაზის კოლექტივთან, სისტემატურად გადამეტებით ასრულებს მიცემულ გეგმას. აქ ვაგონცისტერნების დაცლას არ აგვიანებენ, საწვავი არ იღვრება, აშრობის პროცენტი მინიმუმამდეა დაყვანილი.

თელაველებმა გასული წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლებით „გლავნეფტესბიტის“ საქართველოს სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს. მას შემდეგ თელავის ბაზის მუშაკები დროშას ინარჩუნებენ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მათ ეს დროშა მეხუთედ მიეკუთვნა. ბაზამ მიცემული დავალება 108 პროცენტით შეასრულა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მომხმარებელთა მომსახურება. კიდევ უკეთესი წარმატებით ამთავრებენ მეორე კვარტალს.

მოწინავე მეაბრეშუმე

ჩოხატაური. (საკ. კორ.). სოფელ ანეულის კოლმეურნეობის წევრმა, მოწინავე მეაბრეშუმემ თინა კალანდაძემ სანიმუშო მოვლით პარკის უხვი მოსავალი მიიღო. მოწინავე აგროტექნიკით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ჰექტარიდან გამოკვების ვადა 22 დღემდე დაიყვანა.

თ. კალანდაძემ 4 გრამი აბრეშუმის ჭიიდან სახელმწიფოს ჩააბარა 26,8 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი, გეგმა 171 პროცენტით შეასრულა.

ამიერკავკასიის გეოგრაფიული კონფერენცია

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შენობაში ხუთ დღეს მიმდინარეობდა ამიერკავკასიის გეოგრაფიული კონფერენცია, რომლის მიზანი იყო მთიანი ქვეყნების, კერძოდ ამიერკავკასიის, გეოგრაფიული კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების გადაჭრა.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის გეოგრაფიის ინსტიტუტის, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტისა და სხვ. ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები. სულ კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 30-ზე მეტი მოხსენება.

პარტიული ცხოვრება

პარტიული დავალების განაწილება მეორეხარისხოვანი საქმე არ არის

იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც სკკპ XX ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დააყენა, აუცილებელია ყველა კომუნისტი აქტიურად იყოს ჩაბმული ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ენერგიულად მონაწილეობდეს იმ საწარმოს თუ დაწესებულების საქმიანობაში, სადაც იგი მუშაობს. კომუნისტების აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათთვის პარტიულ დავალებათა სწორად შერჩევასა და განაწილებას. პარტბიუროო მოვალეა გულისხმიერად უდგებოდეს ამ პასუხსაგებ საქმეს, მხედველობაში იღებდეს თვითეული კომუნისტის სურვილს, უნარს, ცოდნას, გამოცდილებას. მაგრამ არ ეძარა მარტო დავალების სწორად განაწილება, ამასთან აუცილებელია პარტიული ორგანიზაცია სისტემატურ დახმარებას და კონტროლს უწევდეს კომუნისტებს დავალების შესრულებაში.

როგორ მუშაობს თბილისის საფეიერო საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკა“ პარტიული ორგანიზაცია კომუნისტთა აქტივობის ამაღლებისათვის, როგორ იყენებს ამ საქმეში პარტიული დავალების შერჩევას და განაწილებას? სამწუხაროდ, ცუდად. დავალებათა შერჩევისას აქ არ იცავენ კომუნისტებისადმი ინდივიდუალური მიდგომის წესს, ერთი და იგივე დავალება წლობით აქვს მიცემული კომუნისტს, რომელსაც შემდეგ აღარავინ აკითხავს, არავინ ამოწმებს, თუ როგორ ასრულებს იგი მინდობილ საქმეს, რა დაბრკოლებებს აწყდება დავალების შესრულების დროს. ხოლო 7 კომუნისტს წლების განმავლობაში არავითარი დავალება არა აქვს.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შორის სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის წარმოება პარტბიუროომ შვიდ კომუნისტს დაავალა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ შვიდი აგიტატორი ამ საქმისათვის ძალიან ცოტაა, პარტბიუროომ მათდამი ხელმძღვანელობასაც მიანება თავი. ამის გამო ფაბრიკაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა თვითდინებაზე იყო მიშვებული.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭირო გახდა საქმეში ზემდგომი პარტიული ორგანოების ჩარევა. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ სააგიტაციო მუშაობაში შესამჩნევია პირველი წარმატებანი. პარტბიუროს დასჭირდება სისტემატურად მოაწყოს აგიტატორთა სემინარები, ყურადღება მიაქციოს მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების პროპაგანდას, იზრუნოს აგიტატორთა პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

საქსოვი საამქროს კომუნისტებმა პარტიული ჯგუფის ორგანიზატორად მქსოველი ვ. გაზაშვილი აირჩიეს. მას პარტიული მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა. პარტბიუროომ კი დაივიწყა მასთან მუშაობა, მისთვის რჩევა-დარიგების მიცემა, პრაქტიკული დახმარების გაწევა. ამას შედეგად მოჰყვა პარტიული ჯგუფის მუშაობის ჩაშლა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვ. გაზაშვილი გაათავისუფლეს და მის მაგივრად რეკომენდაცია მისცეს ოსტატ პ. ნიკიტინს, რომელიც ამჟამად ფაბრიკაში საერთოდ აღარ მუშაობს. პარტიული მუშაობის ჩაშლამ უარყოფითი გავლენა იქონია საამქროს სამეურნეო მაჩვენებლებზე. საქსოვმა საამქრომ ხუთი თვის დავალება 71,2 პროცენტით შეასრულა.

ამ ჩამორჩენას ფაბრიკაში საქსოვი საამქროს რეკონსტრუქციით ხსნიან. პარტბიუროში ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ აქ მოუმზადებელი აღმოჩნდნენ იმ ახალ დაზგებზე სამუშაოდ, რომლებითაც ამ უკანასკნელ ხანებში საამქრო აღიჭურვა. რა თქმა უნდა, ამაში სიმართლის ნაწილია, მაგრამ სწორედ აქ იყო საჭირო ცოცხალი, სისხლსავსე პარტიული მუშაობა, ტექმინიმუმის წრეების მუშაობისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საქმისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საკითხი. პარტბიუროო რატომღაც ერიდება კომუნისტებისათვის საწარმოო ხასიათის დავალების მიცემას. სკკპ XX ყრილობაზე მკაცრად გაკრიტიკებულ იქნენ ის მუშაკები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირებენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას და სამეურნეო საქმიანობას. ისინი ფიქრობენ, რომ უნდა არსებობდეს რაღაც „წმინდა პარტიული მუშაობა“. ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში საქმე იქამდე მივიდა, რომ კომუნისტებს აძლევენ მხოლოდ პარტიულ-პოლიტიკური ხასიათის დავალებებს, როგორიც არის აგიტატორობა, პროპაგანდისტობა. პარტორგანიზაციის ვალია ჩაბას კომუნისტები აქტიურ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში, იბრძოლოს ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული პროპაგანდისა და აგიტაციისათვის. მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლად საჭიროა კომუნისტებს მივცეთ საწარმოო ხასიათის დავალებანი. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა მოწინავე კომუნისტი მუშა, მიუხედავად მისი გათნელებისა. მაგალითად, ფაბრიკა „კომსომოლკაში“ 26 მუშა ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს, აქედან 15 კაცი საქსოვ საამქროში მუშაობს. ესენი ძირითადად არიან პროფესიას ახლად დაუფლებული მუშები. მართალია, დირექციამ თავის დროზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მაგრამ როგორც შედეგების მიხედვით ჩანს, ეს საკმარისი არ არის. საქსოვ საამქროში შვიდი მოწინავე კომუნისტი მუშაობს. პარტბიუროს უნარიანად უნდა გამოეყენებინა ისინი, მიემაგრებინა ამა თუ იმ ჩამორჩენილ უბანზე, მტკიცე კონტროლი დაეწესებინა მათს მუშაობაზე. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

პარტიული დავალება თვითმიზანი როდია. ეს არის კომუნისტთა აღზრდის, მათი ორგანიზაციული გამოწრთობის ნაცადი საშუალება. კარგად მოწყობილ პარტიულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული საწარმოს გამართული საქმიანობა. პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ კომუნისტებს მისცეს ისეთი ხასიათის პარტიული დავალებანი, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს არსებული საწარმოო რეზერვების გამოვლინებას, კომუნისტების. ყველა მშრომელის დარაზმვას საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ამ საქმეში ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს პარტიის კიროვის რაიკომმა.

მ. ვარდოსანიძე

მეჯი პროდუქციისათვის ყოველ 100 ჰექტარ სავარგულიდან

... ეროვნული

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ კომუნისტური მშენებლობის დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენს ხალხს. ახლა გიგანტური შრომაა საჭირო იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს ამოცანები, შევიტანოთ ჩვენი წვლილი დიდ საერთო-სახალხო საქმეში.

როგორც ცნობილია, მარცვლეული მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. მაგრამ შარშან ამ მიმართულებით რაიონში არ იყო სახარბიელო მდგომარეობა. მოსავლიანობის გეგმა ცხაკაიას რაიონმა ვერ შეასრულა. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა (ნაქალაქევი, ხორში, ლეძაძამე და სხვ.) აგროტექნიკური ღონისძიებების დაგვიანებით გატარების გამო საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ ხუთი ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

შექმნილი მდგომარეობიდან წელს სათანადო დასკვნებს ვაკეთებთ. მეექვსე ხუთწლედში დიდად გაიზრდება მარცვლეულის მოსავალი. 1960 წელს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე უნდა მივიღოთ 26 ცენტნერი სიმინდი. წელს 7.867 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე განზრახულია გვაქვს საშუალოდ 18,7 ცენტნერი მოსავლის მიღება.

დიდი ამოცანებია დასახული ჩაის მეურნეობის განვითარების დარგში. შარშან დაკმაყოფილდეთ 2,5 მილიონამდე კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ისეთი მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითი, როგორიც ფოცხოს, უშაფათის, ზანის, ხორშის სასოფლო-სამეურნეო არტელებია, მოწმობს, თუ რა დიდი რეზერვები გვაქვს ჩაის მოსავლიანობის გასაადიდებლად. რაიონში გვყავს ჩაის მოყვანის ბევრი სახელოვანი ოსტატი. 1954 წლის 1.772 კილოგრამის ნაცვლად შარშან საშუალოდ ჰექტარზე 2.042 კილოგრამი ჩაი მივიღეთ. მაგრამ წელს ეს მაჩვენებელი სრულიადაც არ გვაკმაყოფილებს. რაიონში მთელ ფართობზე მოვკრეფთ 3.000.000 კილოგრამ ჩაის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 2.650.000 კილოგრამისა. დიდ ყურადღებას დავუთმობთ ყურძნის, ციტრუსების, დაფნის, ბამბუკის, ეთერზეთოვანი და ბალრეულ-ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

გასულ წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 33,3 ცენტნერი ხორცი და 66,8 ცენტნერი რძე მივიღეთ. 1954 წელთან შედარებით ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე ხორცის წარმოება 7,63 ცენტნერით გაიზარდა, რძისა კი 29,9 ცენტნერით. ღორის ხორცის წარმოების მატებამ აღნიშნულ ფართობზე 2,93 ცენტნერი შეადგინა.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ერთგვარი ზრდის მიუხედავად, მდგომარეობა საერთოდ მაინც არასახარბიელოა. მართალია, რაიონში არიან ცალკეული მოწინავეები, მაგრამ ხორცისა და რძის წარმოების საერთო სასაქონლო გამოსავალი ჯერ კიდევ დაბალია. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს უშაფათის კალინინის სახელობის, ნოსირის სტალინის სახელობის, თეკლათის ლენინის სახელობის, ლეძაძამის სტალინის სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობის ძირითადი პირობაა მტკიცე საკვები ბაზა. მოწინავე კოლმეურნეობებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ამ მხრივ. ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მოაყავდათ საკვები გოგრა, ჭარხალი, სიზამთრო, იმიტომ არის, რომ კოლმეურნეობაში განუხრელად მატულობს პროდუქტიულობა. მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება ახალსოფლის, ზანისა და სხვა კოლმეურნეობებიდანაც.

სერიოზულად გარდაქმნა მუშაობა ძველი სენაკის მეორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობამ, რომლის კოლექტივი სახელმწიფოს აბარებს ძვირფას სანაშენო მოზარდეულს, ხორცსა და რძეს. მეურნეობის წარმატებები უფრო გაიზრდება მიმდინარე და მომავალ წლებში.

პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეღორეობა ხორცის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია. ამ ამოცანის განსახორციელებლად განზრახული გვაქვს 1.215 ღორის გასუქება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. რაიონის კოლმეურნეობებმა მეექვსე ხუთწლედის ბოლოს ყოველი 100 ჰექტარი სავარგულებიდან უნდა მიიღონ 269 ცენტნერი რძე, 40 ცენტნერი ხორცი, ხოლო ამდენივე ნათესზე — 5.073 ცალი კვერცხი.

პარტიის რაიკომი, პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ მასებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებას. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებად ვსწავლობთ და ღრმად ვერ ეწევიდებით კოლმეურნეობების ეკონომიკას, ბოლომდე ვერ აღვაკვეთეთ ანგარიშის უგულებელყოფის ძველი პრაქტიკა. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები გატაცებული არიან ჰექტარის მაჩვენებლებით, ხოლო იმას კი არ ანგარიშობენ, თუ რა უჯდებათ პროდუქციის ერთეულის წარმოება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. მაგრამ ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ არის, ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია იფარგლება ზოგადი, საერთო ხასიათის საკითხებით, ხოლო კონკრეტულს ყურადღებას არ აქცევს. ხორშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ეწყობა განყენებულად, ცხოვრებისგან მოწყვეტით, გამოყენებული არ არის ადგილობრივი ფაქტები.

სწორედ ასეთი მდგომარეობაა ახალსოფელშიც, სადაც პარტიულ კრებებზე ნაკლებად განიხილავენ როგორც პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური მუშაობის, ისე კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის მტკივნეულ საკითხებს, ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ კონკრეტული ეკონომიკის შესწავლას, არ ზრუნავენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის, რის გამო ეს დადგენილებები ფორმალურ ხასიათს იღებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი პირობაა დაგეგმვის ახალი წესი, კოლმეურნეთა მატერიალური წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც უკანასკნელ ხანებში შემოშავეს პარტიამ და მთავრობამ. იქმნება ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ მკვეთრად განვავითაროთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა.

ყველა ამ ღონისძიების გამოყენებით პირველ წარმატებებს მივიღწიეთ. ამის ნათელ მაგალითია ფოცხოს სტალინის სახელობის, ძველი სენაკის სტალინის სახელობის, ზანის ჟდანოვის სახელობისა და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობათა მუშაობა. მათ მკვეთრად გადიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. რაიონის კოლმეურნეობათა ამოცანაა გამონახონ ახალი გამოუყენებელი რეზერვები, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, ძალებისა და ტექნიკის გონივრული გამოყენებით შეამცირონ შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე.

უფრო ნაყოფიერი მუშაობა მართებს ჩვენი რაიონის მტს-ს, რომლის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. კერძოდ, ფართო მასშტაბით არ არის განხორციელებული სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას. ჩვენი რაიონის მშრომელები ეჯიბრებიან გეგეჭკორის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებს. 21 ივნისისათვის რაიონში მოკრეფილი იყო 885,1 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც მაის-ივნისის გეგმის 72,6 პროცენტს შეადგენს.

ზუგდიდელ მეჩაიეთა მიმართვის პასუხად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებიც წელს მოკრეფენ 600 ტონა ჩაის ფოთოლს—გეგმაზე 100 ტონით მეტს. ამ კოლმეურნეობაში ნაყოფიერად შრომობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი კოლმეურნე ტატიანა ტყვეშოვა. მან უკვე მოკრიფა 3 ტონაზე მეტი ჩაი. ყოველდღიურად იგი კრეფს 60-70, ხოლო ზოგჯერ — 100 კილოგრამ ფოთოლს.

კრეფის მაის-ივნისის დავალება ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გამოცდილი კოლმეურნეები ხ. განგავა და კ. გვაძაბია ხელმძღვანელობენ. კომუნისტები გ. ფიფია, ე. დემურია, ს. კვირაია, ტ. ტყვეშოვა, ლ. ლომია, გ. ანთია და სხვები საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში არიან და სხვებს მაგალითს უჩვენებენ. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ვ. ბაკურაძე) სისტემატურად ამოწმებს შეჯიბრების მიმდინარეობას. კოლმეურნეობის კანტორის წინ მოწყობილია შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაფა.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, კონკრეტულად, ყოველდღიურად უზელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, ფართოდ დანერგონ წარმოებაში ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული, რათა ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მკვეთრად გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლიანობა შრომისა და სახსრების მინიმალური ხარჯვით.

ამჟამად რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ძალებს არ იშურებენ იმისათვის, რომ გამოასწორონ ნაკლოვანებანი მუშაობაში, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის შრომითი აქტივობა წარმართონ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში.

ი. ურუშაძე,
საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანი.

მოდის ხორბლის უხვი მოსავალი

ახალსოფლის კოლმეურნეობის მინდვრებს თავს დაჰყურებს მთა საგავაზო. იქ ბალახი ახლა ამწვანდა, ზოგან თოვლი ჯერ კიდევ არ დამდნარა. ბარში კი ნამდვილი ზაფხულია, ცხელა. პურის თავთავებმა თავი დახარეს.

მდინარე შოროხევის მარცხენა მხარეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებია გადაშლილი. აქ ახლა დილიდან გვიან ღამემდე არ წყდება მოსავლის აღებაზე მომუშავე კომბაინების გუგუნი. „დიდ მინდვრებში“ ყვარლის მტს-ის მეცხრე კომბაინის აგრეგატი შეუდგა მოსავლის აღებას. მისი მეთაურია ვ. დაქიურიძე, რომელიც ოცი წელია კომბაინერად მუშაობს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მკის დავალება დიდი გადამეტებით არ შეესრულებინოს. წელს ამ კომბაინის აგრეგატის კოლექტივმა 10 სამუშაო დღეში 280 ჰექტარის მომკა იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ველისციხის მტს-ის კომბაინერი დ. ბერულავილი გამოიწვია.

3. დაქიურიძემ მუშაობის დაწყების დღეს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 6 საათში ცხრა ჰექტარი მომკა და 190 ცენტნერი ხორბალი გალეწა. მეორე დღეს ამინდი ხელსაყრელი არ იყო, ხუთ საათზე მეტ ხანს ვერ იმუშავა, მაგრამ პირველი დღის მაჩვენებელს დიდად გადაამეტა. მას ამ წარმატებაში ხელს უწყობენ ტრაქტორისტი პ. აბრამიშვილი, მეშტურავლე გ. ჯელაძე და კოლმეურნეობიდან მიმაგრებული ავტომანქანის მძღოლი ა. მახათაძე.

მოხუცი კოლმეურნე ვ. ბაგალიშვილი, რომელიც ალაგ-ალაგ ჩაწოლილი პურის ამომკაზე მუშაობს, კოლმეურნეებს მოუთხრობდა:

— წინათ ერთი ჰექტარი ყანის მომკას, ძნის კალოზე მიზიდვას, გალეწვასა და დაბინავებას ოცდაათამდე კაცი სჭირდებოდა. ახლა კი ვ. დაქიურიძემ ექვსი საათი ამუშავა დალოცვილი მანქანა და 270 კაცის სამუშაო შეასრულა. ეს გულს ახარებს.

კოლმეურნეები კმაყოფილი არიან კომბაინერ პ. ცუკოშვილის მუშაობით. იგი „სტალინეც-6“ მარკის კომბაინის შეუფერხებლად ამუშავებს. პირველ დღეს მკა ნაშუადღევს დაიწყო და საღამომდე 120 ცენტნერი ხორბალი გალეწა. მეორე დღეს ორი ამდენი ხორბალი გაგზავნა საველე საშრობში.

— სასახელოდ შეეასრულოთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები! მოსავლის აღება დავამთავროთ 10 სამუშაო დღეში! არ დავუშვათ მოსავლის დანაკარგი! — ეს ლოზუნგები გაკრულია საველე საშრობებში, კალოზე. ახალსოფლელები უხვ მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ. პირველი დღის შედეგები რომ შეაჯამა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ახოშვილმა აქტივის თათბირი მოიწვია და დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ თქვა:

— წელს ხორბლის უხვი მოსავალია. „დიდ მინდვრებში“ ჰექტარზე 20-21 ცენტნერს ვიღებთ. ეს შარშანდელთან შედარებით ათი ცენტნერით მეტია. ზოგიერთ ნაკვეთებში ჰექტარზე 30 ცენტნერს მივიღებთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა ენერგიულად ვიბრძოლოთ დანაკარგების წინააღმდეგ. წელს შარშანდელთან შედარებით თავთავი ცოტა იბნევა, მაგრამ არცერთი თავთავი არ უნდა დაიკარგოს.

აქტივისტებმაც ასე თქვეს, გადაწყვიტეს და შესასრულეს კიდეც. მეორე დღეს მოზარდები ურიამფლით მოედვნენ მინდვრებს. მეორე ბრიგადაში (ბრიგადირი ნ. კახიძე) თავთავის აკრეფაზე 25 მოსწავლე მუშაობს. მათ 26 და 27 ივნისს 430 კილოგრამზე მეტი თავთავი აკრიფეს. მეშვიდეკლასელ ს. ლუხოშვილის ხელმძღვანელობით მოსწავლეები გ. გავარდაშვილი, თ. ქვაჭრელაშვილი და სხვები ბეჯითად მუშაობენ.

ყვარლის მტს-ის (დირექტორი ი. მესტვირიშვილი) კომბაინერები მოსავლის აღებას შეუდგნენ აგრეთვე წიწკანაანთსერის, გავაზის, ჭიკაანისა და სხვა კოლმეურნეობებში. ხორბლის მოსავალი ყველგან უხვია.

მკის პირველ დღეებში გამომეცხადა ნაკლოვანებანიც. აქ დასახმარებლად ახალსოფლის, დუშეთისა და კახპის მტს-ებიდან 12 კომბაინი მოვიდა. მაგრამ ყვარლის მტს-ს საკმაოდ არა აქვს ტრაქტორები, რის გამო არის ტექნიკის მოცდენის შემთხვევები. ყველა კომბაინს რიდი აქვს ელექტროგანათება ღამით მუშაობისათვის. წიწკანაანთსერის კოლმეურნეობაში მომუშავე კომბაინერმა ი. ხინჩიკაშვილმა თქვა:

— ელექტროგანათების გაკეთება ძნელი არ არის, მაგრამ სათანადო მოწყობილობა არ გაგვაჩნია.

ახალსოფლის, ყვარლის, გავაზის, ჭიკაანის კოლმეურნეობებს ავტომანქანების საბურავებიანი აქლიათ. საჭიროა ცეკავშირმა სასწრაფოდ მიიღოს ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ყვარლის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ხორბლის უხვი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

**ს

კომკავშირული საგზურით — ყამირ მიწებზე

მივდივართ ყაზახეთში

მე და ჩემმა ამხანაგებმა, როცა გავეცანით საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ზაფხულის პერიოდში ყამირი მიწების ახალმოსახლეთა დახმარების შესახებ, ერთსულოვნად გადავწყვიტეთ არდადეგების პერიოდში წავიდეთ ყაზახეთში. უნივერსიტეტის საალტო დარბაზში მოწყობილ მიტინგზე კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ჯ. ჭყონიამ გაგვაცნო მგზავრობისა და ადგილზე მუშაობის პირობები.

სიტყვით გამოსულმა ფილოლოგიის ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციის მდივანმა ვ. გოგოლაშვილმა განაცხადა:

— განზრახული მქონდა ზაფხულში კოლმეურნეობაში მემუშავნა. ახლა კი, საკავშირო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტების მომართვის შემდეგ, გადავწყვიტე გავემგზავრო ყაზახეთის ახალმოსახლეებთან და დავეხმარო მათ მოსავლის აღებაში. ღრმად მაქვს შეგნებული, რომ მოსავლის აღებაზე ყოველგვარი მუშაობა საპატიოა, ამიტომ არავითარ სამუშაოზე არ ვიტყვი უარს, მოვუწოდებ ჩემს ამხანაგებს მხარში ამომიდგნენ და გავწიოთ ყაზახეთის ველებისაკენ.

ასეთია სხვა წამსვლელების აზრიც.

ვიცით, რომ ვნახავთ ჩვენი ქვეყნის ერთერთ მდიდარსა და საინტერესო მხარეს. იქ ჩვენ ენერგიული შრომა გვმართებს, შეიძლება ბევრ სიძნელეს წავაწყდეთ, მაგრამ უკან როდი დავიხევთ. ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცეა. ჩემთან ერთად მოდიან ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები: ო. ვარდოსანიძე, ვ. გოგოლაშვილი, გ. მეტრეველი, ს. ქეთელაური და სხვები.

პირობას ვდებთ, არ შევარცხვენთ ჩვენს აღმზრდელ კომკავშირს, ჩვენს მშობლიურ სასწავლებელს.

ო. ბერიშვილი,

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის უურნალისტიკის განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტი.

სიახლე ქარხანაში

დამთავრდა ბოვიდან ლითონის ჩამოსხმა. როგორც კი ლითონის ღვარი შეწყდა, ერთერთმა მუშამ ბოვის ქვედა კარებზე შეყენებულ ბერკეტს რკინის ხელკეტი მოარტყა, ბერკეტი გამოეცალა, კარი გაიღო და გზა გაეხსნა ლითონისა და კოქსის გავარვარებულ ნარჩენებს. ბოვის გამოწმენდის შემდეგ გამოსადნობი ლითონისა და კოქსის ახალი ფენებით დატვირთვის წინ კვლავ უნდა დაეხურათ კარები. აქ უკვე ერთი მუშა საკმარისი აღარ იყო. საჭირო გახდა ამხანაგების დახმარება. ჯერ ერთი კარი მიხურეს და მუშას იგი ეკავა მანამ, სანამ მეორე კარსაც ასწევდნენ და ბერკეტს შეუყენებდნენ.

ი. ლუკიანცევი

* * *

ბოვის კარების ამგვარად გაღება და დაკეტვა მძიმე ფიზიკურ შრომას მოითხოვდა და ამავე დროს საშიშიც იყო, რადგან თუ ბერკეტის გამოცლის დროს მუშა სიფრთხილეს არ გამოიჩენდა, შეიძლებოდა დაეზიანებინა ბოვიდან წამოსულ ნარჩენებს.

ავჭალის ფოლად-თუჯსამსხმელი ქარხნის ზეინკალი ივანე ლუკიანცევი კარგახანია ეძებდა გზას ამ შრომატევადი პროცესის შეცვლისათვის, და ბოლოს მიაგნო კიდეც. შეკუმშული ჰაერი — აი რისი გამოყენება შეიძლებოდა ფიზიკური ძალის მაგივრად.

ქარხნის კოლექტივის დახმარებით ზეინკალმა მალე განახორციელა ჩანაფიქრი — ბოვის ქვეშ მოათავსა ცილინდრი, რომელსაც გაუკეთა ბოვის კარებისაკენ მიმართული ორი ბერკეტი. ცილინდრში მოთავსებული დგუში, რომელიც კომპრესორთან არის შეერთებული შეკუმშული ჰაერის მოწოლის შედეგად მაღლა იწევს, ააქვს ბერკეტები და ბოვის კარები იხურება. საჭიროების დროს ჰაერს თიშავენ, დგუში იწევს დაბლა, აცლის ბერკეტებს და კარები თავისთავად იღება.

ი. ლუკიანცევის რაციონალიზატორული წინადადების დანერგვამ შრომატევადი და საშიში სამუშაოდან გაათავისუფლა მუშები.

მოწინავე ზეინკალის წინადადებამ არა მარტო ავჭალელ ლითონმსხმელებს შეუმსუბუქა შრომა, იგი უკვე განახორციელეს კრასნოდარის დაზგათმშენებელ ქარხანაში და ამჟამად ფართოდ ინერგება ჩვენი ქვეყნის სხვა საწარმოებშიც.

შ. ამირანაშვილი.

ლიტერატურა და ხელოვნება

ირაკლი აბაშიძე

დარიალჰესთან

На холмах Грузии лежит
ночная мгла.
Пушкин

თითქოს არ ჩანდნენ ღამეში კლდენი,
არ ჩანდა მლეთი, კაიშაური,
მაინც ამ მთებმა მშვენებით, კდემით
მოგაჯადოვეს შენ, მოგზაური.

ვერც შენ გაუძელ ამ მწველ სიტურფეს —
იქით მყინვარი, აქეთ არწივი...
და ამ არაგვის ამწვანებულ მთებს
ერთი შესძახე ქართველ კაცივით.

შენ გზად ჩამვლელი იყავი მხოლოდ,
ჩვენ კი აქ გვიდგას ჩვენი აკვანი,
ამ ლურჯ ქედებში ვსუნთქავთ და ვცხოვრობთ
აქ წვანან ჩვენი მამაპაპანი.

ამ მზეს მოვყვებით, ამ მზით მივდივართ,
აქ ყრია ჩვენი ფუძის ნაცარი...
აი როგორ ვართ, აი რითი ვართ
რა სიყვარულის ცეცხლით დამწვარი.

ვინაც თვალს ვახელთ ამ ტკბილ მიწაზე,
ვისაც გვებოძა ეს საბოძვარი,
სულ ეს გვეხატოს გულის ფიცარზე, —
ვისთვის რა არის გასაოცარი!

შენ ამ ქედებში ღამე დაგეცა,
ჩვენ დღეც და ღამეც აქ გვწვავს ქართველებს;
ახლა ღამესაც, იმ ძველ ღამესაც
დარიალჰესის მზე გაათენებს.

მთებში არაგვის სხივით გამთბარი
მზით ანთებული დღე დამყარდება
და ვინ დაგვძრახავს, ეს მთა და ბარი
თუ უფრო მეტად შეგვიყვარდება.

თუ უფრო აგვწევს აღმაფრენამდე
მზე ანანურში, დარი ალგეთში,
რომ ჩვენი მიწა კვლავაც ელავდეს...
აი რას ვუმღერ დარიალჰესში.

1956. VI.

საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ექსპონატი. „მწყემსები კოცონთან". ნახატი შ. მეტრეველისა. ფოტორეპროდუქცია შ. გოქაძისა.

ახალი წიგნები

აინი — ბუხარა, თარგმანი ქ. ნადირაძისა. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 383, ფასი 8 მან.

მ. ემინესკუ — ლექსები. თარგმანი გ. აბაშიძისა. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 76, ფასი 3 მან.

ე. ზოლა — ხაფანგი. თარგმანი მ. ციციშვილისა. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 469, ფასი 9 მან.

ა. მიცკევიჩი — კონრად ვალენროდი. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 99, ფასი 3 მან. 15 კან.

ჯ. ცვიტკა — მოთხრობები. ზღაპრები. თარგმნა შ. გვინჩიძემ. საბლიგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 253, ფასი 6 მან. 50 კან.

ი. ჯავახიშვილი — ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 2.000, გვ. 222, ფასი 13 მან.

ი. ქავთარაძე — იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 3.000, გვ. 100, ფასი 1 მან. 20 კან.

ქართულ-რუსული ანდაზები. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 20.000, გვ. 95, ფასი 2 მან. 50 კან.

ა. ღვინიაშვილი — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 4.000, ფასი 15 მან.

თეატრალური სეზონის დამთავრების წინ

მიმდინარე 1955-56 წლის თეატრალური სეზონი დასასრულს უახლოვდება. დარჩენილ დროში თბილისის თეატრები კიდევ რამდენიმე ახალ სპექტაკლს უჩვენებენ დედაქალაქის მშრომელებს.

ოპერისა და ბალეტის თეატრში გუშინ ახალი დადგმით იქნა წარმოდგენილი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ა. ბუკიას ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები". თეატრი მიმდინარე სეზონს დაამთავრებს 8 ივლისს, მომავალ თეატრალურ სეზონს დაიწყებს ქუთაისში. აქ იგი დაპყოფს 1-დან 30 სექტემბრამდე.

რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები სეზონის დახურვამდე (15 ივლისამდე) განახორციელებენ ორ-ორი პიესის დადგმას.

თანამედროვე ცხოვრების ამსახველ თემას მიეძღვნება რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლები — ო. ჩიჯავაძის კომედია „პირველი მერცხლები" და გ. ბერძენიშვილის ლირიკული დრამა „ლერწამი ქარში". მარჯანიშვილის სახელობის თეატრი დგამს ლ. გოთუას დრამას „მეფე ერეკლე" და კ. ბუაჩიძის კომედიას „მკაცრი ქალიშვილები".

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი მიმდინარე სეზონში მაყურებელს უჩვენებს ახალ ქართულ ოპერეტას—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. კერესელიძის „სამ პატარძალს". თეატრი საგასტროლოდ იმოგზაურებს ქალაქებში ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში, პარალელური სპექტაკლებით მოემსახურება დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს, მათ შორის ტყიბულს, წყალტუბოს, ზესტაფონს, მაიაკოვსკის, სამტრედიას, ქობულეთს, მახარაძეს, ლანჩხუთს, ფოთს, გალს, ოჩამჩირეს და სხვ.

თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრი, რომელიც ამჟამად გასტროლებზე იმყოფება ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დედაქალაქ ორჯონიკიძეში, იქ გასტროლებს დამთავრებს 30 ივნისს, რის შემდეგ გაემგზავრება ბათუმსა და სოხუმში, ხოლო შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრი, რომელიც ამჟამად სოხუმში იმყოფება, გასტროლებს დამთავრებს ბათუმში.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრი 1 სექტემბერს ახალ სეზონს დაიწყებს თბილისში, ხოლო შემდეგ სპექტაკლებს გამართავს რუსთავში. ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის თეატრს გასტროლები აქვს ზესტაფონის, ტყიბულის, სამტრედიის, ზუგდიდის, ცხაკაიას, აბაშის და გალის რაიონებში. ფოთის თეატრი ზესტაფონის, ჭიათურის, გორისა და რუსთავის შემდეგ საგასტროლოდ გაემგზავრება კახეთის რაიონებში. სტალინირის თეატრი (ქართული დასი), გორისა და ზუგდიდის თეატრები საგასტროლო სპექტაკლებით მოემსახურებიან ახლო რაიონების მშრომელებს.

რესპუბლიკის თეატრებს საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი აქვთ საუკეთესო დადგმები, მათ შორის ბევრი ახალი დადგმა, რომლებიც მიმდინარე სეზონში განხორციელდა. გასტროლების დროს, გარდა პარალელური სპექტაკლებისა, თეატრები საშეფო კონცერტებით მოემსახურებიან მშრომელებს საკოლმეურნეო მიდვრებზე და ფაბრიკა-ქარხნებში. მოეწყობა აგრეთვე თეატრების შემოქმედებითი შეხვედრები რაიონის მოწინავე ადამიანებთან.

გ. ძნელაძე.

თანამედროვეობის ამსახველი ოპერეტა

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა 27 ივნისს მაყურებელს უჩვენა თანამედროვეობის ამსახველი ქართული ოპერეტა „ახალი სიმღერა".

ოპერეტის მუსიკის ავტორია კომპოზიტორი გ. ცაბაძე, ლიბრეტო დაწერეს ო. რაზმაძემ და ნ. მახარაშვილმა.

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს თეატრის მთავარმა რეჟისორმა შ. მესხმა, მთავარმა დირიჟორმა მ. ბორჩხაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ი. ასკურავამ, ქორეოგრაფმა დ. მაჭავარიანმა და ლოტბარმა დ. კვაჭანტირაძემ.

მთავარ როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. მოსეშვილი და ვ. სალარიძე, მსახიობები თ. კოდანიშვილი, ქ. კობახიძე, ა. მამუკელაშვილი, ი. ბაკაური, ი. ქუთათელაძე, პ. სუხიშვილი, ა. ტურიაშვილი, რ. ბერძენიშვილი, ნ. თულაშვილი და სხვ.

ქალაქ ქუთაისის ბიბლიოთეკა

ექიმთა ბრიგადა საკოლმეურნეო მინდვრებში

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ სოფლების ტყაჩირის და ოფშკვითის კოლმეურნეობებში გაგზავნა ექიმთა ბრიგადა, რომელმაც სამედიცინო დახმარება გაუწია კოლმეურნეებს საზაფხულო მინდვრის სამუშაოთა პერიოდში, მოაწყო საუბრები პირადი ჰიგიენის, დაავადებათა თავიდან აცილებისა და სხვა საკითხებზე.

სასტუმრო-პანსიონატი

სამი წელია მუშაობს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს სასტუმრო-პანსიონატი. აქ უკვე დაისვენა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოსულმა 5.000-ზე მეტმა მშრომელმა. პანსიონატი უზრუნველყოფილია სამედიცინო კაბინეტებით და დაკომპლექტებულია შესაფერი მედპერსონალით. აქედან დამსვენებლები წყალტუბოში ყოველდღიურად გადაჰყავს 4 კომფორტაბელურ ავტობუსს.

მძღოლთა კადრები

ქუთაისის ავტოსკოლამ გამოუშვა მესამე კლასის 70 მძღოლი, რომლებიც უკვე გაიგზავნენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ. ამჟამად ავტოსკოლა აწარმოებს პირველი და მეორე კლასის მძღოლთა გადამზადებას როგორც სტაციონარულ, ისე დაუსწრებელ სექტორებზე.

იძენენ უმაღლეს განათლებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

ქალაქის 870-მდე მუშა-მოსამსახურე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ წარმატებით სწავლობს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ქუთაისის ფილიალში.

ავტომატიზაციის დანერგვით

სამტრესტის ქუთაისის ღვინის ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ღვინის ახალი ჩამოსასხმელი საამქრო, სადაც დამონტაჟებულია სამი ახალი მანქანა. ამჟამად ღვინის ქარხანაში ბოთლების გარეცხვის, დაცობის, დალუქვისა და გადანაცვლების პროცესები მექანიზებულია. ახალი საამქროს ამუშავების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობა. წინათ 8 საათის განმავლობაში ასხამდნენ 6.000 ლიტრ ღვინოს, ავტომატიზაციის დანერგვის შედეგად კი 8.000 ლიტრს ასხამენ.

მზრუნველობით იზრდებიან

თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატში ქართულ და რუსულ სექტორებზე 160-მდე მოსწავლეა.

ყრუ-მუნჯ ბავშვებს ზრდიან დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონე კვალიფიციური მასწავლებლები — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები ა. კაიშაური და ე. ბაქრაძე, მასწავლებლები ხ. ასამბაძე, ე. გერმანოვიჩი, ვ. შარაშიძე, ა. მგალობლიშვილი და სხვ.

სკოლას აქვს კარგი სასწავლო და საწოლი ოთახები, სასადილო, აბანო, მექანიზებული სამრეცხაო, ამბულატორია, კლუბი კინოდანადგარით, ბუნებისმეტყველების, სმენის კაბინეტები სათანადო აპარატურით, სახელოსნოები.

წელს სკოლა დაამთავრა 17 მოსწავლემ, რომლებიც იმუშავებენ როგორც სკოლასთან არსებულ სახელოსნოებში, ისე ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საწარმოებში.

წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სკოლა-ინტერნატს გადასცა კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის ყოფილი საბავშვო სახლის შენობა და მიწის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, სადაც მოსწავლეები მიიღებენ ჩვევებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ახლა, როცა სასწავლო წელი დამთავრდა, სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები თავიანთ დასასვენებელ სახლში გაემგზავრებიან.

დეპუტატები და მათი საქმეები

დილაა. ირგვლივ სიჩუმეა. ყველანი მინდვრად გაკრეფილან. მაგრამ ზაფხულის მზის უხვი სხივებით გაჩირაღდნებულ იმერეთის ამ კოპწია სოფელში თითქმის ხელშესახებად იგრძნობა ცხოვრების მოჭარბებული დუღილი, ძალღონიანი შრომის ბარაქა და სიხარული.

მიდიხართ სოფლის შარაგზაზე, თვალს ავლებთ ვენახებით დაბურულ და კოხტა იმერული ოდებით დამშვენებულ კოლმეურნეთა კარ-მიდამოებს, შედიხართ სოფლის დაწესებულებებში — ყველგან აჩნევთ ადამიანის კეთილშობილური მოუსვენრობის, მისი შემოქმედებითი აქტივობის ნაყოფს.

ლამაზია ეს სოფელი. თვალს იტაცებს მწვანეთ აბიბინებული მისი გორაკები, ლაღად გაშლილი მისი ბაღ-ვენახები, მძლავრია მისი კოლმეურნეობები, მდიდარია სოფელი გაორჯ, შრომისმოყვარე ადამიანებით.

სოფლის შუაგულში დგას ორსართულიანი შენობა წარწერით: ზესტაფონის რაიონის მეორე, სვირის სასოფლო საბჭოს აღმასკომი. მის თავმჯდომარეს დ. მერკვილაძეს უკვე მოუსწრია მინდვრების შემოვლა და აღმასკომის მდივანს რაღაც საყურადღებო საკითხზე ეთათბირება.

გულღია მისალმების შემდეგ იგი წინ გაგვიძღვა, რათა გვიჩვენოს სოფლის ავ-კარგი, მისი ადამიანების შემოქმედებითი შრომის ნაყოფი.

სასოფლო საბჭოს აღმასკომთან ახლოს საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობის საძირკველი ჩაუყრიათ.

— ეს სკოლა ჩვენი დეპუტატების თაოსნობით შენდება, — გვეუბნება სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, — ახლანდელი შენობა არ გვივარგა. აი როგორ დაიწყო ეს კარგი საქმე: გასული წლის ბოლოს ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა ზესტაფონის რაისაბჭოს დეპუტატმა, ამავე სკოლის მასწავლებელმა ქსენია ცხადაძემ. ამომრჩევლებმა ბევრი საყურადღებო შენიშვნა გააკეთეს და საქმიანი წინადადებანი დააყენეს. დეპუტატს მოსთხოვეს სათანადო ორგანოების წინაშე დაესვა ახალი სასკოლო შენობის აგების საკითხი. ახალი წლის დამდეგს სვირში, თავის ამომრჩევლებთან შესახვედრად ჩამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე. ამომრჩევლებმა და რაიონული საბჭოს დეპუტატმა სთხოვეს მას გაეთვალისწინებინათ სვირში საშუალო სკოლის ახალი შენობის აგება. როგორც ხედავთ, მშენებლობას საფუძველი უკვე ჩაეყარა. წელს საამისოდ ნახევარი მილიონი მანეთია გადადებული.

სვირში არის ე. წ. ცხადაძეების უბანი. აქ ათობით კომლი ცხოვრობს. უბანს გზა არა ჰქონდა. ამომრჩევლებმა კ. შავგულიძემ, ა. და ბ. ცხადაძეებმა და სხვებმა დახმარებისათვის დეპუტატს მიმართეს. გზის გასაყვანად საჭირო იყო გეგმის შედგენა. ქ. ცხადაძის თხოვნით რაისაბჭოს აღმასკომმა სვირში მიწათმომწყობი და ინჟინერი გაგზავნა. გეგმა შედგა. გზის გაყვანას სათავეში დეპუტატი ჩაუდგა, მოსახლეობამ აქტიური შრომითი მონაწილეობა მიიღო მშენებლობაში. ახლა ამ უბანში კეთილმოწყობილი გზა გადის.

ამ ცოტა ხნის წინათ ორ უბანში წყალსადენი გაუყვანიათ, დაწყებულია სახერხი ქარხნის, აბანოს, ელექტროწისქვილის მშენებლობა. დამთავრდა სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოები; აშენდა ქვესადგური, დამონტაჟებულია ტრანსფორმატორები. მალე ხაზი საქენერგოს სისტემაში ჩაირთვება და სოფელი ელექტროშუქით გაჩირაღდნდება. ამ საქმეებს ამომრჩეველთა მოთხოვნით და მხარდაჭერით სათავეში უდგას რაიონული საბჭოს დეპუტატი, ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ბრეგვაძე.

ჩვენ ვნახეთ ახლად გახსნილი აფთიაქი და სამედიცინო ლაბორატორია, დავთვალიერეთ სასოფლო საავადმყოფო, სადაც კაპიტალური რემონტი დაეწყოთ.

— ყველაფერი ეს, — გვითხრეს სვირელებმა, — რაიონული საბჭოს დეპუტატის დ. კოზირიძის დახმარებით გაკეთდა.

იმ საღამოს სოფელში ახალ ინდურ კინოსურათს უჩვენებდნენ.

ამ ცოტა ხნის წინათ სვირში მოძრავი კინოდანადგარის გამოჩენა და კინოსურათის ჩვენება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ახლა კი სოფელს საკუთარი სტაციონარული კინოდანადგარი აქვს და კოლმეურნეები სისტემატურად ნახულობენ ახალ კინოფილმებს. მუდმივი კინოდანადგარი სოფელმა რაისაბჭოს დეპუტატის ა. ლომთათიძის მეცადინეობით მიიღო. მან ამით, ამომრჩეველთა მოთხოვნა შეასრულა.

რაისაბჭოს დეპუტატების მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა ამომრჩევლებთან, მათი გულისხმიერება ამომრჩეველთა წინადადებებისა და მოთხოვნილებების შესასრულებლად მაგალითია სასოფლო საბჭოს დეპუტატებისათვის. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სოფლის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, ხვდებიან ამომრჩევლებს, უყურადღებოდ არ ტოვებენ მათს არც ერთ საქმიან წინადადებას.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი თავის მხრივ ეხმარება დეპუტატებს ამომრჩეველთა განაწესის შესრულებაში, ითვალისწინებს ამომრჩეველთა კრიტიკულ შენიშვნებს, დეპუტატების წინადადებებს.

* * *

ათვალიერებთ რაიონის სოფლებს — კვალითს, ზედა საქარას, ცხრაწყაროსა და სხვებს: აქ წყალი მოჩქეფს ონკანიდან, რადიოხაზია გაყვანილი და სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოებია დაწყებული, იქ გზა გაუჭრიათ, კლუბი მოუწყვიათ და ბიბლიოთეკა ახალი ლიტერატურით შეუვსიათ, და გეტყვიან სოფლელები: ესენი დეპუტატებისა და ხალხის აქტიური მონაწილეობით გაკეთდაო.

— ჩვენს სოფელში ამ ბოლო დროს თუ რაიმე კარგი გაკეთდა, — გვითხრა ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, სამამულო ომის მონაწილემ გ. აბულაძემ, — ყველაფერში რაისაბჭოს დეპუტატის, ჩვენი კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელის სოლომონ ფუტკარაძის მადლიანი ხელი ურევია.

ს. ფუტკარაძეს სოფლის ახალი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობაზე შევხვდით. იგი აგურს აგურზე აწყობდა და ორსართულიანი შენობის კედელი ამოჰყავდა.

— ამ შენობაში, — თქვა ზედა საქარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ჩიხლაძემ, — მოთავსდება კოლმეურნეობის კანტორა, სამკითხველო, კლუბი, მაღაზია. სოლომონი დღეში სამი ათას აგურს აწყობს. შენობას წელს ჩაგაბარებთო, დაგვპირდა.

— დაგპირდით და კიდეც შეგასრულებ. ოღონდ თქვენ საშენი მასალა არ მომაკლოთ! — იღიმება მშენებელი დეპუტატი.

და როგორ გტკივათ გული, როცა ხალხის პატიოსანი მსახურების გვერდით შეხვდებით ე. წ. „საპატიო დეპუტატებს", ხალხის ისეთ „მსახურებს", რომლებიც ხალხისათვის არაფერს არ აკეთებენ.

ზოვრეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა სიაში 19 კაცის გვარს ამოიკითხავთ. მაგრამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან მ. ჩხიკვაძესთან საუბრის შემდეგ ცხადი გახდა, რომ დეპუტატები თითქმის არავითარ როლს არ ასრულებენ სოფლის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. ანდა საერთოდ რა შეიძლება ითქვას დეპუტატთა მუშაობაზე, როცა მათი ძირითადი ნაწილი სასოფლო საბჭოს სესიასაც არ ესწრება. მაინცდამაინც არც სასოფლო საბჭოს აღმასკომი აწუხებს მათ სესიების მოწვევით. აგერ ნახევარი წელი გადის და სასოფლო საბჭოს სესია მხოლოდ სამჯერ შეიკრიბა. დეპუტატმა რ. გვალიამ ვერც ამ სესიებზე „მოახერხა" დასწრება. ო. სახტარაძე, ნ. ღვინჯილია და ი. ჩხიკვაძე მხოლოდ თითო სესიას დაესწრნენ.

ამომრჩეველთა განაწესი, თუ კი საერთოდ აქ ასეთი რამ არსებობს, თითქმის არც ერთ დეპუტატს არ აგონდება. ხოლო ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

იქნებ ზოვრეთში ყველაფერი რიგზეა, აღარაფერი დარჩა გაუკეთებელი და დეპუტატებსაც შეუძლიათ გულდამშვიდებული იყვნენ. სამწუხაროდ, ასე როდია.

ზოვრეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის სარგებლობაშია 20 ჰექტარი ვენახი, 44 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 370 ჰექტარი სახნავ-სათესი, წლების მანძილზე სამარცხვინოდ ჩამორჩენილია. მოსავლიანობა თანდათან მცირდება. გასულ წელს კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 45 ცენტნერის ნაცვლად 13 ცენტნერი ყურძენი და 9 ცენტნერის ნაცვლად 3 ცენტნერი სიმინდი მიიღო. კოლმეურნეობის რა წარმატებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა 400-ის ნაცვლად სამუშაოდ მხოლოდ 200 კაცი გამოდის. ბევრი კოლმეურნის წლიური გამომუშავება 3-დან 10 შრომადღეს არ სცილდება, ზოგიერთს კი არც ერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული. საკვირველი არ არის, რომ კოლმეურნეობას ივნისის რიცხვებში სიმინდის თესვაც კი არ ჰქონდა დამთავრებული.

კოლმეურნეობის ასეთ ჩავარდნასაც არ გამოჰყავს სასოფლო საბჭოს აღმასკომი და დეპუტატები „წონასწორობიდან". სასოფლო საბჭოს სესიას, სასოფლო საბჭოს აღმასკომს არსებითად ერთხელაც არ უმსჯელიათ კოლმეურნეობაში შექმნილ ძდგომარეობაზე, თითქოს პასუხს არ აგებდნენ ამისათვის.

სოფლებში ქვედა საქარასა და დილიკაურში გასულ წელს საგზაო მშენებლობის გეგმები ჩაიშალა, ცუდად მუშაობს როდინაულის სასოფლო კლუბი, საზანოს სასოფლო კლუბი შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული, სოფელში მისასვლელი გზა გაფუჭებულია.

განა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება არ შეიძლებოდა აქაური სასოფლო საბჭოს დეპუტატები საქმით რომ იყვნენ დაინტერესებულნი და ამომრჩეველთა წინაშე პასუხისმგებლობას რომ გრძნობდნენ?

პარტიის XX ყრილობის შემდეგ ზესტაფონის რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატების კავშირი ამომრჩევლებთან, მათი საქმიანობა უთუოდ გაუმჯობესდა. მაგრამ როგორც ვხედავთ, სასოფლო საბჭოების მთელ რიგ დეპუტატებზე და რაიონული საბჭოს ზოგიერთ დეპუტატზე ძნელია ითქვას, რომ ისინი ხალხის მსახურები არიან და რაიმე პასუხისმგებლობას გრძნობენ ამომრჩეველთა წინაშე.

დეპუტატი აღჭურვილია ხალხის დიდი ნდობით. ამ ნდობას იგი უნდა ამართლებდეს თავისი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით, ხალხის საჭიროებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. არავის არ სჭირდება ისეთი დეპუტატი, რომელსაც არ აღელვებს თავისი ქალაქის, რაიონისა თუ სოფლის ავ-კარგი, წარმატება თუ ჩამორჩენა.

მ. კალანდაძე,
ლ. ლოლაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

ერთობლივი კომუნიკე საბჭოთა კავშირ-ლიბანის მოლაპარაკების შესახებ

ლიბანის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 1956 წლის 25-დან 28 ივნისამდე ლიბანში იმყოფებოდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი. ბეირუთში ყოფნის დროს დ. ტ. შეპილოვი მიიღო მისმა აღმატებულებამ ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კამილ შამუნმა, რომელთანაც მას მეგობრული საუბრები ჰქონდა.

ბეირუთში დ. ტ. შეპილოვის ყოფნის დროს წარმოებდა მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა, სსრ კავშირის დესპანმა ლიბანში ს. პ. კიკტევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ გ. ტ. ზაიცევმა. ლიბანის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს ლიბანის პრემიერ-მინისტრმა აბდალაჰ იაფიმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სელიმ ლაჰუდმა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ფუად ამუნმა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა ფართო და გულახდილი გაზიარება საბჭოთა კავშირ-ლიბანის ურთიერთობების საკითხებზე, აგრეთვე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის არაბთა სამყაროს იმ პრობლემებზე, რომლებიც სსრ კავშირსა და ლიბანს აინტერესებს.

ორივე მხარემ დაადასტურა შეხედულებათა ერთობა საკითხებზე, რომლებიც განიხილეს და, კმაყოფილებით აღნიშნა რა სსრ კავშირისა და ლიბანის მეგობრული ურთიერთობის ტრადიციული ხასიათი, აღიარა, რომ ორივე ქვეყანას შორის მეგობრობის შემდგომი განვითარება შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებს და არსებითი წვლილია მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების მიზნით, რაც ესოდენ ბედნიერად არსებობს სსრ კავშირსა და ლიბანს შორის, მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ სსრ კავშირის მისია ლიბანში და ლიბანის მისია სსრ კავშირში საელჩოებად გარდაიქმნან.

მხარეებმა გამოთქვეს სურვილი საბჭოთა კავშირსა და ლიბანის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ორივე მხარემ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ლიბანის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და იმ პრინციპებს, რომლებიც ბანდუნგის კონფერენციამ მიიწონა და რომლებითაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და ლიბანის მთავრობები. ისინი ადასტურებენ თავიანთ მისწრაფებას შეინარჩუნონ თანამშრომლობა მშვიდობის ინტერესებისათვის, რაკი დარწმუნებული არიან, რომ მათი ღონისძიებანი, აგრეთვე ღონისძიებანი სხვა სახელმწიფოებისა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მშვიდობისადმი მისწრაფებით, ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სახელით ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტს კამილ შამუნს გადასცა მოწვევა მისთვის მოხერხებულ დროს ეწვიოს საბჭოთა კავშირს, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სტუმარი.

პრეზიდენტმა კამილ შამუნმა ეს მოწვევა მიიღო და მის გამო მადლობა გადაუხადა კ. ე. ვოროშილოვსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ერთობლივი კომუნიკე ბულგარეთისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ

სოფია, 28 ივნისი. (საკდესი). დღეს სოფიაში დამთავრდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანტონ იუგოვმა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება გულითად და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ორი მთავრობის წარმომადგენლებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბულგარეთსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან და აზრები გაუზიარეს ერთმანეთს საერთაშორისო საკითხებზე.

ორივე მთავრობამ გადაწყვიტა უახლოეს დროში დაიწყოს მოლაპარაკება სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაზე და დადონ გრძელვადიანი სავაჭრო ხელშეკრულება 1957 წელს. დასახულია კულტურული გაცვლისა და თანამშრომლობის გაფართოების ღონისძიებანი. ბულგარეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას გაუწიოს უსასყიდლო დახმარება საქონლით და მასალით, რაზეც ხელი მოაწერეს სპეციალურ შეთანხმებას.

ორივე მთავრობამ გამოთქვა სრული ერთსულოვნება საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი ლიბანში

ბეირუთი, 28 ივნისი. (საკდესი). 27 ივნისს დილით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა, რომელიც ლიბანის მთავრობის მოწვევით ლიბანში იმყოფება, დაათვალიერა ბაალბეკის ისტორიული ადგილები.

დ. ტ. შეპილოვს თან ახლდნენ ლიბანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ფუად ამუნი, ბეკაას ხეობის გუბერნატორი ფაიზ იმადი, ქალაქ ბაალბეკის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე მუჰამედ იაღი, აგრეთვე სსრ კავშირის დესპანი ლიბანში ს. პ. კიკტევი, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

ძველი ძეგლების გაცნობის შემდეგ დ. ტ. შეპილოვი ეწვია პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკს, რომელიც ბაალბეკის ახლოს არის.

ბაალბეკის მოსახლეობამ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო დ. ტ. შეპილოვს. მან ქალაქის პარკში ინტერესით უყურა ხალხურ ცეკვებს, რომლებიც ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ დ. ტ. შეპილოვი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ ქალაქ ბჰამდუნში, სადაც ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელიმ ლაჰუდმა ოტელ „ამბასადორში" სადილი გამართა მის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ ლიბანის პრემიერ-მინისტრი აბდალაჰ იაფი, მინისტრები, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრები მისი თავმჯდომარის ჰასან ტიუეინის მეთაურობით, ლიბანის პარლამენტის დეპუტატთა დიდი ჯგუფი, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, ლიბანის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა სამინისტროთა პასუხისმგებელი თანამშრომლები. სადილზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის დესპანი ლიბანში ს. პ. კიკტევი და საბჭოთა მისიის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი ბეირუთიდან ათენში გაემგზავრა

ბეირუთი, 28 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, რომელიც ბეირუთში ლიბანის მთავრობის მოწვევით იყო, დღეს დილით თვითმფრინავით გაფრინდა ათენში.

ბეირუთის აეროდრომზე დ. ტ. შეპილოვი გააცილეს ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სელიმ ლაჰუდმა, ლიბანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა ფუად ამუნმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსმა ჰურშიდმა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა.

დ. ტ. შეპილოვი გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის დესპანმა ლიბანში ს. პ. კიკტევმა და საბჭოთა მისიის მთელმა შემადგენლობამ.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყაროული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ლიბანის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი ათენში ჩავიდა

ათენი, 28 ივნისი. (საკდესი). დღეს ათენში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი. დ. ტ. შეპილოვს ელენიკონის აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი საბერძნეთში მ. გ. სერგეევი, ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის დიპლომატიური წარმომადგენლები. საბერძნეთის მხრივ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი. აეროდრომზე იყვნენ ათენის ბევრი მცხოვრები, ათენის, პირეის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ბერძენი და უცხოელი ჟურნალისტები.

დ. ტ. შეპილოვმა შემდეგი განცხადება გააკეთა აეროდრომზე: „პატივცემულო ბატონებო! შემოვდგი რა ფეხი ძველ და მშვენიერ ელადის მიწაზე, მოხარული ვარ საბჭოთა კავშირის ხალხთა და საბჭოთა მთავრობის სახელით ბედნიერება, წარმატებანი და კეთილდღეობა ვუსურვო ბერძენ ხალხს და საბერძნეთის მთავრობას. გულწრფელად მიესალმები აგრეთვე ათენის — საბერძნეთის სახელოვანი დედაქალაქის მოსახლეობას — ქალაქისა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა კაცობრიობის კულტურის განვითარებაში. სსრ კავშირისა და საბერძნეთის ხალხთა ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის ფესვები შორს არის გადგმული წარსულში. საბჭოთა კავშირი თავის ურთიერთობას საბერძნეთთან ახორციელებს ცნობილი პრინციპების საფუძველზე, როგორიც არის მშვიდობიანი თანაარსებობა და საქმიანი თანამშრომლობა, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა, სრული თანასწორობა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. ყოველი ქვეყანა, ყოველი ხალხი თავისი შეხედულებით განსაზღვრავს თავის ბედს, თავის წესებს. ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში არის ჯერ კიდევ დიდი გამოუყენებელი შესაძლებლობანი. საბჭოთა მთავრობა იმის მომხრეა, რომ ფართოდ იქნას გამოყენებული ეს შესაძლებლობანი. სსრ კავშირსა და საბერძნეთს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარება სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხებისათვის. იმედი მაქვს, რომ ათენში ჩემი ჩამოსვლა იმის ხელსაყრელ შესაძლებლობას შექმნის, რომ პირადი კონტაქტები დამყარდეს თქვენი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებთან, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობაში საჭირო ურთიერთგაგების, ნდობისა და გულწრფელობის შექმნასა და განვითარებას და ხალხთა შორის მშვიდობისა და საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცების ინტერესებს".

გზაზე ათენამდე და თვითონ ქალაქში გარეუბნებისა და დედაქალაქის მცხოვრენი დიდ ჯგუფებად შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს.

დ. ტ. შეპილოვი დღეს შეხვდება საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ავეროფს.

საბჭოთა კავშირ-ნიდერლანდის სავაჭრო მოლაპარაკების გამო

27 ივნისს ჰაგაში ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირსა და ნიდერლანდს შორის 1956 წელს საქონლის ურთიერთ მიწოდების სიების შესახებ.

ოქმი ითვალისწინებს ნიდერლანდში დაკვეთების მიცემას საბჭოთა კავშირისათვის სამი სატვირთო გემის მშენებლობაზე და ტყავისა და ტყავნედლეულის, შტაპელის ბოჭკოს, მედიკამენტების, დამარილებული ქაშაყის, მცენარეული ზეთისა და სხვა საქონლის მიწოდებას.

საბჭოთა საქონლის სიაში შეტანილია ნეტყის მასალები, მარცვლეული, ანტრაციტი, ქვანახშირის პეკი, აზბესტი, თუჯი, ბამბა, მსუბუქი ავტომობილები, ქიმიური და სხვა საქონელი.



ცნობათა ბიურო—09



ამ ნომერზე ყოველ წამს ერთდროულად რამდენიმე ტელეფონი რეკავს, მაგრამ აქ არასოდეს არ ისმის ზარის წკრიალი. მორიგეები გამოძახებებს პატარა ნათურებით იგებენ.

ერთი საათის განმავლობაში თბილისის ავტომატური სატელეფონო სადგურის ცნობათა ბიუროს თვითეული მორიგე მოქალაქეებს საშუალოდ 200-ჯერ აძლევს პასუხს. მაგრამ მათ ყოველთვის როდი უხდებათ ტელეფონის ცნობარებში ჩახედვა — უამრავი ნომერი ზეპირად იციან. აი ერთი მათგანი უკვე ზედიზედ რამდენჯერმე აძლევს პასუხს ზეპირად.

— ეს ანა კაკაბაძეა. მან 2 ათასზე მეტი ნომერი იცის ზეპირად, ნამდვილი ცოცხალი „ცნობათა ბიუროა", — ღიმილით ამბობს ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მ. აგამალოვა. — იგი ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკია.

— როგორ აფასებთ თვითეული მორიგის მუშაობას?

—ყველაზე კარგად ის მორიგე ემსახურება აბონენტებს, რომელიც ყველაზე მეტს და გარკვევით უპასუხებს.

— განა პასუხების რაოდენობა აღირიცხება?

— ყოველ მორიგესთან მოწყობილია სპეციალური ავტომატური მთვლელი. გამოძახებაზე პასუხის გაცემისას მთვლელის რიცხვს ერთი ციფრი ემატება. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მთვლელი გვიჩვენებს, როგორ იმუშავა მორიგემ. ყოველ ცვლაში ჩვენი ცნობათა ბიურო რამდენიმე ათას ტელეფონის ნომერს იძლევა.

უკანასკნელ ხანებში საქალაქო სატელეფონო ქსელის აბონენტთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამუშავდა ახალი ავტომატური სადგურები, შეიცვალა ბევრი საწარმოს-დაწესებულების ტელეფონის ნომრები. ცნობათა ბიუროში დაუყოვნებლივ ხდება როგორც ახალი, ისევე შეცვლილი ნომრების აღრიცხვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე წლის წინათ გამოცემული ქალაქის აბონენტთა სიები მოძველდა, დასაბეჭდად მომზადდა აბონენტთა ახალი სია, რომელიც საგრძნობლად განტვირთავს ცნობათა ბიუროს და დიდად შეუწყობს ხელს თბილისის აბონენტებს ტელეფონით სარგებლობაში.

ა. ქარბელაშვილი.

• • •

სურათზე: თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის ცნობათა ბიუროში.

ფოტო ო. თურქიასი.

თბილისის ავტოვაგზალში

დიდი გამოცოცხლებაა თბილისის ავტოვაგზალში. აქედან ყოველდღე გადის სამგზავრო ავტომანქანები 43 სხვადასხვა მიმართულებით: თელავში, ლაგოდეხში, გურჯაანში, საგარეჯოში, ლენინგორში, სტალინირში, ბოლნისში, დმანისში, წალკაში და სხვ., აგრეთვე საგარეუბნო კურორტებზე — კოჯორში, კიკეთსა და მანგლისში. გაზაფხულზე განახლდა ავტობუსების მოძრაობა ყაზახში, მინგეჩაურში, ქედაში, ბელაქანში. ბევრი მგზავრია მომძე სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების ქალაქებში — სტეპანავანში, კიროვაბადში, ერევანში მიმავალ მანქანებზე.

სომხეთის სსრ დედაქალაქ ერევანში ამჟამად ავტობუსებს გარდა დადის 2 მსუბუქი ავტომანქანა „ზიმი"

მაისის შუა რიცხვებიდან განახლდა საავტომობილო მიმოსვლა თბილისის ავტოვაგზლიდან ჩვენი ქვეყნის განთქმულ კურორტებზე — კისლოვოდსკში, ესენტუკში, პიატიგორსკში, აგრეთვე ორჯონიკიძის, გროზნოს, ბოგდანოვკის მარშრუტებით. საგარეუბნო კურორტების მარშრუტებზე გაიზრდება ავტომობილების რაოდენობა, ივლიან „ზიმის" და „პობედის" მარკის მსუბუქი მანქანები.

თბილისის ავტოვაგზალი მომზადებული შეხვდა სეზონს. საადგურს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა. მუშაობს დედათა და ბავშვთა ოთახი, მოეწყო ბარგის შესანახავი კამერა, გაჯსნილია „სოიუზპეჩატის" კიოსკი. ავტოვაგზალში დაიდგა ადგილობრივი რადიოკვანძი.

რ. ჩიმიშკიანის წარმატება



რ. ჩიმიშკიანი.

ჰელსინკში მიმდინარეობს ევროპის პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძვიან 13 ქვეყნის უძლიერესი შტანგისტები. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან ვ. სტოგოვი, რ. ჩიმიშკიანი, ნ. კოსტილევი, ი. რიბაკი, ტ. ლომაკინი, ფ. ოსიპი და ა. მედვედევი.

შეჯაბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო მჩატე წონის შტანგისტთა ასპარეზობა. აქ ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა საბჭოთა სპორტსმენი ვ. სტოგოვი, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 325 კილოგრამი და ოქროს მედალი მოიპოვა.

შეჯიბრების მეორე დღეს, 28 ივნისს, დიდი წარმატება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ძალოსანმა რ. ჩიმიშკიანმა, ქვემსუბუქ წონაში მან ორი ხელით აჭიმა 97,5 კილოგრამი, ატაცში აჩვენა 105 კილოგრამი და აკრა 137,5 კილოგრამი.

ამრიგად, რ. ჩიმიშკიანმა სამჭიდში აჩვენა 340 კილოგრამი და ევროპის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სად გავატაროთ კვირადღე

რუსთაველი

სოციალისტური ინდუსტრიის პირმშო — რუსთავი ექსკურსანტებს წლის ყოველ დროში აზიდავს. მაგრამ ქალაქის დამთვალიერებელთა ნაკადის სიჭარბე განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულში იგრძნობა.

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე რუსთავს 60-ზე მეტი მარტო უცხოეთის დელეგაცია ესტუმრა ინდოეთიდან, ჩილიდან, იაპონიიდან, შვეიცარიიდან, ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ბომ დამთვალიერებლები აქ თითქმის ყოველდღე მოდიან. ყველას აინტერესებს ნახოს ახალგაზრდა, ამასთან უძველესი ქალაქი, რომელიც საბჭოთა ადამიანების მადლიანმა მარჯვენამ უდაბურ ტრამალზე მკვდრეთით აღადგინა და მძლავრ მეტალურგიულ ქარხანაში ქართული ფოლადის თუბალურ-ხალიბური ჰედვა განაახლა.

მართლაც, რამდენი რამ არის ხაამაყო რუსთავში!

ვის არ დაინტერესებს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ხაამქროებით.

მარტო მილსაგლინავი ხაამქროს ყველა უბნის დეტალურად დათვალიერებისათვის ექსკურსანტმა საწარმოს მინით გადახურულ თაღქვეშ სულ მცირე 8-4 კილომეტრი უნდა გაიაროს. ამავე ხაამქროშია დიდი დიამეტრის მილსაგლინავი დგანი — 400, რომელიც თავისი სიმძლავრით არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ ევროპაში გამოირჩევა.

არანაკლებ საინტერესოა აზოტოვანი სასუქების ქარხანა. მთელი რიგი დანადგარები და ზოგიერთი ხაამქრო, რომლებიც ამ ქარხანაშია, ქიმიური მრეწველობის ტექნიკურ სიახლეებს წარმოადგენენ. ასეთია, მაგალითად, მეთანის, გოგირდის მინარევისაგან კოქსის გაზის საწმენდი, მიკროსასუქისა და სხვა ხაამქროები. ქარხნის მრავალ უბანზე იშვიათად შეხვდებით ადამიანებს, მინერალური სასუქების წარმოების ყოთელესი პროცესები ძირითადად ავტომატურად სრულდება.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ცემენტის ახალი ქარხანა, ბეტონის ცენტრალური კომბინატი, შეჭანიკური ქარხანა და სხვა საწარმოები.

მნახველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი, არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლებითა და კვარტალებით, მრავალწლიანი მარადმწვანე ნარგავებით დამშვენებული ბაღებითა და სკვერებით, მრავალრიცხოვანი კულტურული დაწესებულებებით, კეთილმოწყობილი მალაზიებით.



კულტურისა და დასვენების პარკი.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

• • •

არც ერთი ექსკურსანტი რუსთავიდან ისე არ დაბრუნდება, რომ ქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გულდასმით არ დაათვალიეროს. მუზეუმის ორსართულიან ლამაზ შენობაში მოთავსებული ექსპონატები, სურათები, ნახატები, ჩორელიეფები და დიაგრამები მნახველს თანამედროვე რუსთავისა და მისი მშენებლობის ისტორიასთან ერთად აცნობენ ქალაქის საინტერესო წარსულს.

მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატი — შავად მოხატული წითელი ქოთანი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასეულის შუა ხანებს მიეკუთვნება, ხოლო მეომრის სამარხში აღმოჩენილი რკინის სატევარი და ბრინჯაოს ისრის პირები ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-V საუკუნეებით არის დათარიღებული. აღმოჩენილი ნივთები მოწმობენ, რომ თანამედროვე რუსთავის ტერიტორიაზე მოსახლეობა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასეულში ბინადრობდა, ხოლო როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი რუსთავი ადრე ფეოდალურ ხანაში—VI-X საუკუნეში აღმოცენდა, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე კი სამეურნეო განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და ხალხმრავალ ქალაქად იქცა. შემდგომ ეამთა სიავემ, მტერთა მრავალგზისმა შემოსევამ იმსხვერპლა. მიწამ შთანთქა მისი მრავლისმეტყველი ნანგრევები.

მეტალურგთა ქალაქში კულტურული დასვენება და გართობაც შეიძლება. ამ საქმეს წარმატებით ემსახურება ქალაქის მშვენება — კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც ბუნებრივი ტყის მასივით მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ორ ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული. თვით პარკს 18 ჰექტარამდე ფართობი უკავია. პარკის ტერიტორიას რუსთავის უძველესი არხი შუაზე ჭკვეთს. მტკვრიდან არხში შემოსული წყალი ასწლოვანი ვერხვების ჩრდილქვეშ საამურად მოედინება. ეს ადგილი ხიცების დროს საუკეთესო თავშესაფარია.

პარკს აქვს საზაფხულო კინოთეატრი, ხაცეკვო მოედანი, სამკითხველო, საზაფხულო რესტორანი, სასპორტო და ბავშვთა მოედნები სხვადასხვა გასართობით. პარკში იმართება მასობრივი სეირნობები, კონცერტები, ყოველდღიურად უჩვენებენ ახალ კინოფილმებს.

კულტურისა და დასვენების პარკის შემდგომი კეთილმოწყობისათვის წელს გამოყოფილია ნახევარი მილიონი მანეთი. შენდება ახალი შადრევნები, მტკვრის ნაპირას აგებენ საცურავ აუზს, რომლის ფართობი 5 ჰექტარს მიაღწევს. აქ ცალცალკე მოეწყობა მამაკაცების, ქალებისა და ბავშვთა პლაჟები.

არც თუ ისე შორეულ მომავალში იაღლუჯის მთის კალთები მწვანე ნარგავებით შეიმოსება. მთის პლატოზე, პატარა ტბის ტაფობში მტკვრის წყალს დაადებენენ და რუსთავის მკვიდრთ თბილისელთა მსგავსად ექნებათ ხელოვნური ზღვა.

დღეს შორეულ მოგონებადღა რჩება ადრინდელი რუსთავის მზისაგან გადახრუკული, მრავალ ადგილას დაჭაობებული ტრამალი, კოლოებისა და ქარის სათარეშო ადგილი...

გ. ბელაშვილი.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი, რუსთაველის სახელობის — ხალისიანი მეგობრები, მარჯანიშვილის სახელობის — რას იტყვის ხალხი, ფილარმონია — საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის კონცერტი (გ. გაბესკირიას ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), სპარტაკი, თბილისი, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), ისანი (საზამთრო და საზაფხულო), პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — პოლიციელები და ქურდები, ფილარმონიის ბაღი, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო და საზაფხულო), კომუნარების ბაღი — სიყვარულის სინათლე, კოლხიდა (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, კოლხიდა (საზაფხულო), დიდუბე (საზამთრო) — ქალიშვილი და მუხა, პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზაფხულო) — დაღუპული ცხოვრება, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — მოჯირითე ქალიშვილი, დიდუბე (საზაფხულო) — ირენა, სახლში, კოლმეურნე — მისამართი უცნობია.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

შაბათს, 30 ივნისს

დავით გამრეკელის

უკანასკნელი გასტროლი

ზ. ფალიაშვილი

აბესალომ და ეთერი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება.

თბილისის „დინამოს" სტადიონზე

შაბათს, 30 ივნისს

ახალგაზრდობის დღესასწაული,

მიძღვნილი სასწავლო წლის დამთავრებისადმი

I.

ფიზკულტურელთა აღლუმი

მასობრივი ვარჯიშები, ტანვარჯიში, აკრობატიკა და სხვ. სპორტის დამსახურებული ოსტატების ბ. შარაბიძის, მ. ჯუღელის, სპორტის ოსტატების რ. შარაბიძის, ვ. ჯაიანის, ვ. ახათიანის და სხვა უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით.

II.

დიდი კონცერტი

ორ განყოფილებად

მონაწილეობენ: ესტრადის ოსტატები: საქართველოს სსრ სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები აკ. კვინტალიანი, გ. საღარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები სტ. ჯაფარიძე, მ. შილდელი და სხვ. მუსიკალური საესტრადო სექტეტი; ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი; ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კვარტეტი და ბოცეკავეთა ანსამბლი; უმაღლეს სასწავლებელთა თვითმოქმედი კოლექტივები.

ფეიერვერკი

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტთან არსებული სტუდენტთა კლუბი.

მეუღლე ნატალია, შვილი რევაზ, და მარიამ, რძალი ლიდა, სიძე ა. მაჩაიძე ოჯახებით იუწყებიან

ვასილ პავლეს-ძე დავითურის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VI, 8 ს. გამოსვენება 1-VII, 5 ს. ბინიდან, გორკის ქ. № 36.

მეუღლე კლეოპატრა, შვილები ჩიტო, მეგი, დები ლუბა, ტატიანა, ეკრაფინა, ლიუდმილა, ძმა ვალერიან, სიძე დ. კვაშილავა ოჯახებით იუწყებიან დოცენტ

ემელიან ექვთიმეს-ძე გოგინავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VII, 8 ს. გამოსვენება 3-VII, 6 ს. ბარნოვის ქ. № 90.

მეუღლე განია, შვილები მარგო, ნადია, სიძე ა. ქერაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან

გიორგი პეტრეს-ძე ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VI, 8 ს. გამოსვენება 1-VII, 5 ს. ენგელსის ქ. № 41.

ცეკავშირის უნივერმაგის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

ტერენტი მურზაყანის-ძე დგებუაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 1-VII, 4 ს. ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 76.

მთავარი საფთიაქო სამმართველოს და თბილისის ქსელის აფთიაქის მუშაკები იუწყებიან ფარმაცევტ

კონსტანტინე ოტიას-ძე გიორგობიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება 30-VI, 5 ს. ბინიდან, ბარათაშვილის ქ. № 13.

მეუღლე მარიამ, შვილი დავით ნათესავებით იუწყებიან

ვლადიმერ დავითის-ძე აივაზაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VI, 8 ს. გამოსვენება 1-VII, 5 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 112.

დისწული მერი რცხილაძე, ძმა ლევან, ძმისწულები ივანე და ვანო მაჩაბლები ოჯახებით იუწყებიან ექიმ

ვახტანგ ივანეს-ძე მაჩაბლის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VII, 8 ს. გამოსვენება 3-VII, 6 ს. ვაშლოვანის ქ. № 4.

შვილები ნოდარ, რეზო, რძლები ინგა, ელეონორა და შვილიშვილი იუწყებიან

ეკატერინე ირაკლის ასულ კაკაბაძე-ცაგურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-VI, 8 ს. გამოსვენება 1-VII, 6 ს. ბინიდან, ლენინის II შესახვევი № 1-ა.

ᲣᲔ 03056 ბოლგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.